გრიგოლ ფერაძე
პოლ-ვალერის უნივერსიტეტი, მონპელიე 3

ქართლ-კახეთის მეფის, ერეკლე II-ის პერცეფცია XVIII საუკუნის მეორე ნახევრის სომხური განმათავისუფლებელი მოძრაობის ლიდერებში (იოსებ ემინი, მოვსეს სარაფოვი, იოსებ არღუთიანი, შაჰამირ შაჰამირიანი)*

აბსტრაქტი

წინამდებარე სტატიაში, ფართო ისტორიულ და გეოპოლიტიკურ კონტექსტში, განხილულია ქართლ-კახეთის მეფე ერეკლე II-ის როლი და მნიშვნელობა მე-18 საუკუნის მეორე ნახევრის სომხურ განმათავისუფლებელ მოძრაობაში. კვლევა ეყრდნობა წყაროთმცოდნეობითი და შედარებითი ანალიზის მეთოდოლოგიებს, რაც სომხურ-ქართული პოლიტიკური ჯგუფების თანა-მშრომლობის გაანალიზების საშუალებას იძლევა.

სტატიაში განსაკუთრებული აქცენტი არის გაკეთებული ერეკლე II-ის პერცეფციაზე სომეხ ლიდერთა, კერძოდ, იოსებ ემინის, მოვსეს სარაფოვის, იოსებ არღუთიანის და შაჰამირ შაჰამირიანის ხედვებში და პოლიტიკურ პროგრამებში. შესწავლილია იმ სომეხ ლიდერთა მოღვაწეობა, რომლებიც საერთაშორისო ასპარეზზე გეოპოლიტიკური ცვლილებების ფონზე ყოველნაირად ცდილობდნენ სომხეთის სახელმწიფოებრიობის აღდგენის საკითხის გადაჭრას და ამ მხრივ გადამწყვეტ მნიშვნელობას სწორედ ერეკლე მეფესთან თანამშრომლობას ანიჭებდნენ. აგრეთვე, სტატიაში შესაბამისი ყურადღება ეთმობა საკუთრივ ერეკლე II-ის პოლიტიკურ მდგომარეობას, ოსმალეთისა და ირანისგან მომდინარე საფრთხეებს და რუსეთის იმპერიის მზარდ ამბიციებს, რაც მნიშვნელოვან გავლენას ახდენდა ქართულ-სომხური თანამშრომლობის ხასიათზე.

სტატიაში ქრონოლოგიური თანმიმდევრობით არის გაშუქებული ერეკლე II-ს და სომეხ ლიდერთა შორის არსებული ურთიერთობების ხასიათი, მიზნები და არსებული კავშირების სპეციფიკური გარემოებები. ვფიქრობ, წარმოდგენილი კვლევა თავის წვლილს შეიტანს სომხურ-ქართული პოლიტიკური ისტორიის შესწავლაში და გარკვეულ დახმარებას გაუწევს ამ საკითხით დაინტერესებულ მკვლევრებს.

საკვანძო სიტყვები: *ერეკლე II, იოსებ ემინი, მოვსეს სარაფოვი, იოსებ არღუთიანი, შაჰამირ შაჰამირიანი, ქართლ-კახეთის სამეფო, ქართულ-სომხური ურთიერთობები.*

---

* სტატია მომზადებულია შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებული პროექტის - „საქართველოსა და სომხეთის პერცეფცია დასავლურ და აღმოსავლურ წყაროებში (შუა საუკუნეებისა და ადრეულ ახალ დროში)“ (# FR-23-10274) ფარგლებში.

შესავალი

სამხრეთ კავკასიის რეგიონში მცხოვრები ხალხების ერთიან მოზაიკაში ქართველებს და სომხებს გამორჩეული ადგილი უკავიათ. ისტორიულად, მათი იდენტობის ჩამოყალიბებაზე მნიშვნელოვან გავლენას მუდმივი საგარეო საფრთხე ახდენდა, რაც ამ ხალხებს ბუნებრივად უბიძგებდა პერმანენტულად ყოფილიყვნენ ჩართულნი თავდაცვით ბრძოლებში. საუკუნეების განმავლობაში თითქმის უწყვეტად თვითგადარჩენაზე ზრუნვის პირობებში, ქართველმა და სომეხმა ხალხებმა მაინც შეძლეს თავიანთი თვითმყოფადი, უნიკალური კულტურების შექმნა და შენარჩუნება. ამავდროულად, ორ ქრისტიან ერს შორის, ეტაპობრივად ღრმავდებოდა და ვითარდებოდა ურთიერთობები, რაც თავის მხრივ, ხელს უწყობდა მათ შორის მჭიდრო სოციალური, ეკონომიკური, კულტურული, რელიგიური და პოლიტიკური კავშირების ჩამოყალიბებას.

გარკვეული თვალსაზრისით, სამხრეთ კავკასიის რეგიონში არსებულ სოციალურ და პოლიტიკურ დინამიკაზე დაკვირვება საშუალებას გვაძლევს მივიჩნიოთ, რომ ქართველები და სომხები თითქმის ყველა კრიტიკულ ეტაპზე იაზრებდნენ ერთმანეთთან თანამშრომლობის საჭიროებას. უეჭველია, რომ ეს საკითხი განსაკუთრებულ აქტუალობას იძენდა თავისუფლებისთვის ბრძოლის საკვანძო მომენტებში. ამ მხრივ კი მე-18 საუკუნის მეორე ნახევარი უპირობოდ უმნიშვნელოვანეს ეპოქას წარმოადგენს.

ნიშანდობლივია, რომ იმ დროს, როდესაც მსოფლიოს მასშტაბით, რამდენიმე დიდი სახელმწიფოს მიერ აქტიურად მიმდინარეობდა გავლენის სფეროების გადანაწილება, სამხრეთ კავკასიის რეგიონში, ერთი მხრივ, ნელ-ნელა იმყარებდა პოზიციებს ქართლ-კახეთის სამეფო (აღმოსავლეთ საქართველო) და ამავდროულად, შესამჩნევ აღმავლობას განიცდიდა მრავალი წლის განმავლობაში მინავლებული სომხური განმათავისუფლებელი მოძრაობა, რომლის ლიდერთა აბსოლუტური უმრავლესობა (იოსებ ემინი, მოვსეს სარაფოვი, იოსებ არღუთიანი, შაჰამირ შაჰამირიანი და სხვ.) სომხეთის სახელმწიფოებრიობის აღდგენის საკითხში გადამწყვეტ მნიშვნელობას სწორედ ერეკლე II-ს ანიჭებდა.

წინამდებარე სტატიის მიზანია, სხვადასხვა პირველად და მეორად წყაროებზე, მათ შორის მე-18 საუკუნის მეორე ნახევრის ქართულ-სომხური ურთიერთობების შესახებ შექმნილ ნაშრომებზე, სპეციალურ გამოკვლევებზე, სხვადასხვა ავტორის მიერ გამოქვეყნებულ ისტორიულ საბუთებსა და დოკუმენტებზე დაყრდნობით, წყაროთმცოდნეობითი და შედარებითი ანალიზის მეთოდოლოგიების გამოყენებით, გაანალიზდეს ქართლ-კახეთის მეფის, ერეკლე II-ის როლი ამ ეპოქის სომხურ განმათავისუფლებელ მოძრაობაში. აგრეთვე, ქრონოლოგიური თანმიმდევრობით გაშუქდეს მე-18 საუკუნის მეორე ნახევრის ქართველ მონარქთან სომეხ ლიდერთა ურთიერთობების ხასიათი, მიზნები და არსებული კავშირების განმაპირობებელი სპეციფიკური გარემოებები. ყოველივე ზემოთქმული შეგვიქმნის საკვლევის საკითხის რეგიონულ და გლობალურ კონტექსტში განხილვის საშუალებას.

საქართველო და სომხეთი XVIII საუკუნის მეორე ნახევარში: ზოგადი ისტორიული კონტექსტი

მე-18 საუკუნის სამხრეთ კავკასიის რეგიონის ადგილსა და მნიშვნელობას საერთაშორისო ასპარეზზე მეტწილად ოსმალეთის იმპერიასა და ირანს შორის გაფორმებული ამასიის სამშვიდობო ხელშეკრულების პირობები განსაზღვრავდა. ისტორიულ მეტოქეებს შორის 1555 წელს დადებული ხელშეკრულების თანახმად, ოსმალეთის იმპერიის გავლენის სფეროებად დასავლეთ საქართველო, ესე იგი იმერეთის სამეფო, აფხაზეთის, გურიის, სამეგრელოს სამთავროები და სამცხის მნიშვნელოვანი ნაწილი გამოცხადდა, ხოლო ქართლისა და კახეთის სამეფოები, სამცხის აღმოსავლეთ ნაწილის ჩათვლით ირანის დაქვემდებარებაში გადავიდა.[1] ამავე ხელშეკრულებამ განსაზღვრა სომხეთის საკითხიც, რომლის მიხედვითაც ქვეყნის დასავლეთ ნაწილი ოსმალეთის იმპერიას, ხოლო აღმოსავლეთ ტერიტორიები ირანს ერგო.[2] მართალია, ამასიის სამშვიდობო ხელშეკრულებამ მხარეებს შორის ვერ უზრუნველყო გრძელვადიანი მშვიდობა, თუმცა მე-18 საუკუნის მეორე ნახევრამდე იგი, მეტ-ნაკლები წარმატებით განსაზღვრავდა სამხრეთ კავკასიაში არსებული პოლიტიკური ერთეულების და ხალხების ბედს. ასეთი მოცემულობა, ქართული სამეფოების შემთხვევაში, სრული ავტონომიურობის მიუღწევლობასთან ერთად, ბუნებრივად გამორიცხავდა ერთიანი საქართველოს აღდგენის პერსპექტივას[3] და ამავდროულად, მნიშვნელოვნად ზღუდავდა საუკუნეების წინ გამქრალი სომხური სახელმწიფოებრიობის აღდგენის ყოველგვარ შესაძლებლობას.[4]

ბუნებრივია, ორი ძლიერი მუსლიმური სახელმწიფოს ბატონობა სრულ იზოლაციაში აქცევდა რეგიონს და შესაბამისად, საერთაშორისო სარბიელზე, მნიშვნელოვნად აფერხებდა ქართველების და სომხების მიერ მოკავშირეების მოძიების და მათთან მჭიდრო პოლიტიკური ურთიერთობების ჩამოყალიბებას. ამასთან, იგი, ხელს უშლიდა რეგიონში მესამე ძალის დამკვიდრებას, რაზეც, ალბათ, ყველაზე მკაფიოდ მე-18 საუკუნის დიდი ევროპული სახელმწიფოების სამხრეთ კავკასიისადმი დამოკიდებულება მიუთითებს. საინტერესოა, რომ მულტიპოლარული საერთაშორისო წესრიგის პირობებში,[5] როდესაც ძლიერი

---

[1] George Sanikidze, "The Evolution of Safavid Policy towards Eastern Georgia", *in Safavid Persia in the Age of Empires: The Idea of Iran*, Volume X, ed. Charles Melville (London: I.B. TAURIS, 2021), 379.

[2] George A. Bournoutian, *A Concise History of the Armenian People: From Ancient Times to the Present* (Costa Mesa, California: Mazda Publishers, Inc., 2006, 209.

[3] საქართველოს სამეფო, მონღოლების და მოგვიანებით, თურქმანთა ტომების თავდასხმების შედეგად გამოწვეული ეკონომიკური, პოლიტიკური და სოციალური პრობლემების ფონზე, მე-15 საუკუნის მიწურულს სამეფო-სამთავროებად დაიშალა. Nodar Asatiani, *History of Georgia: From Ancient Times to the Present Day* (Tbilisi: Publishing House Petite, 2009), 121-123.

[4] სომხეთის სამეფოში მნიშვნელოვანი ეკონომიკური, პოლიტიკური და სოციალური პრობლემები შექმნა სელჩუკთა ლაშქრობებმა. მოგვიანებით, მე-11 საუკუნის მეორე ნახევარში, ბაგრატუნთა სომხეთი ბიზანტიის იმპერიამ დაიპყრო. Bournoutian, *A Concise History of the Armenian People: From Ancient Times to the Present,* 87-88.

[5] გეოპოლიტიკური თვალსაზრისით, მე-18 საუკუნე მულტიპოლარული საერთაშორისო სისტემით ხასიათდებოდა, რაც ძალთა ბალანსის პრინციპის შენარჩუნების ფონზე ბუნებრივად გამორიცხავდა რომელიმე ერთი სახელმწიფოს მიერ სრული დომინაციის

ძალის მქონე ევროპული სახელმწიფოები, მსოფლიოს თითქმის ყველა მხარეში ცდილობდნენ თავიანთი ძალაუფლების გავრცელებას, სამხრეთ კავკასიის რეგიონში ფეხის მოკიდების მხრივ ისინი მეტწილად პასიურ როლში იყვნენ; ეს კი, გარკვეულწილად იმის მანიშნებელი იყო, რომ იმჟამინდელი საერთაშორისო მოთამაშეებისთვის სამხრეთ კავკასია ოსმალეთის იმპერიისა და ირანის გავლენის სფეროდ აღიქმებოდა და შესაბამისად ამ რეგიონში, პირდაპირ თუ ირიბად, ამასიის ხელშეკრულების გეოპოლიტიკურ მნიშვნელობასაც აღიარებდნენ.[6]

თუმცა, ფორმალური თვალსაზრისით, ალბათ, შესაძლებელია მივიჩნიოთ, რომ სამხრეთ კავკასიაში მოქმედმა ამასიის სამშვიდობო ხელშეკრულებამ ძალა 1783 წლამდე, რუსეთის იმპერიასა და ქართლ-კახეთის სამეფოს შორის გეორგიევსკის ტრაქტატის გაფორმებამდე შეინარჩუნა, მეტადრე, რომ 1783 წლის 24 ივლისის რუსულ-ქართული მფარველობითი ხელშეკრულებით, რუსეთის იმპერიამ არამხოლოდ რეგიონში დამკვიდრების სამართლებრივი საფუძველი შეიქმნა, არამედ, მნიშვნელოვნად შეარყია ოსმალეთის იმპერიისა და ირანის პოზიციებიც.[7] მოგვიანებით, რუსეთის ინტერესი რეგიონისადმი კიდევ უფრო გაიზარდა და მე-19 საუკუნის პირველი მესამედის რუსეთ-ირანისა და რუსეთ-ოსმალეთის ომებში გამარჯვებით კი, რუსეთის იმპერიამ, ფაქტობრივად, მთელი რეგიონის ანექსირების შედეგად საბოლოოდ განდევნა რეგიონიდან თავისი მოწინააღმდეგეები.[8] თუმცა, თუ ყურადღებით დავაკვირდებით მე-18 საუკუნის სამხრეთ კავკასიაში განვითარებულ მოვლენებს, დავინახავთ, რომ მესამე ძალის ჩართვის თვალსაზრისით, ამასიის სამშვიდობო ხელშეკრულებას მნიშვნელოვანი ზიანი ჯერ კიდევ პეტრე I-ის[9] სამხრეთ კავკასიური ლაშქრობის დროს მიადგა, მეტადრე, რომ ამ აქტით, რუსეთის იმპერიამ მკაფიოდ მიუთითა სამხრეთ კავკასიისადმი მის მზარდ დაინტერესებაზე და ამავდროულად, ღიად დაუპირისპირდა რეგიონში სეფიანთა ირანის პოზიციებს.

საყურადღებოა, რომ პეტრე I-ის მიერ, 1722 წელს, სამხრეთის კავკასიის მიმართულებით საბრძოლო მოქმედებების წამოწყებამ, თავის მხრივ, ქართული და სომხური პოლიტიკური ელიტის გააქტიურება გამოიწვია. მათმა მნიშვნელოვანმა ნაწილმა, ქართლის მეფის, ვახტანგ VI-ის ლიდერობით, ღიად

მიღწევას. კორნელი კაკაჩია, *საერთაშორისო პოლიტიკა ვესტფალიიდან ბიპოლარული სისტემის დასასრულამდე* (თბილისი: უნივერსალი, 2014), 21-23.

[6] დიმიტრი შველიძე, *საქართველოს მფარველობა და დაპყრობა რუსეთის მიერ* (თბილისი: მერიდიანი, 2014), 9-10. აგრეთვე, ამ თვალსაზრისით, საინტერესოა ამასიის სამშვიდობო მოლაპარაკებების პროცესში ფრანგი დიპლომატების ჩართულობის საკითხი. ამ შემთხვევაში, ისინი ყოველ ღონეს ხმარობდნენ ოსმალეთ-ირანს შორის სამშვიდობო შეთანხმების მიღწევის ხელშესაწყობად, რომლის შედეგადაც, 1553 წელს ოსმალეთ-საფრანგეთს შორის დადებული სამოკავშირეო ხელშეკრულების საფუძველზე, ოსმალეთის იმპერია ყურადღების გადატანას ევროპაზე, კერძოდ, ჰაბსბურგების წინააღმდეგ შეძლებდა. მიხეილ სვანიძე, *ოსმალეთის ისტორია : XIV-XVI სს.,* ტომი I (თბილისი: ქრონოგრაფი, 1999), 148-151.

[7] შველიძე, *საქართველოს მფარველობა და დაპყრობა რუსეთის მიერ,* 47-48.

[8] Vartan Gregorian, "The Impact of Russia on the Armenians and Armenia", in *Russia and Asia: Essays on the influence of Russia on the Asian Peoples*, ed. Wayne S. Vucinich (Stanford, California: Stanford University 1972), 178.

[9] რუსეთის მონარქი 1682-1725 წლებში. George A. Bournoutian, *Armenians and Russia (1626-1796): A Documentary Record* (Costa Mesa, California: Mazda Publishers, Inc., 2001), 470-471.

დაუჭირა მხარი რუსეთის წინსვლას რეგიონში და მისთვის სამხედრო დახმარების აღმოჩენაც კი განიზრახა. მართალია, პეტრე I-ის რეგიონიდან გასვლის შემდეგ, ოსმალეთის იმპერიამ და ირანმა მნიშვნელოვნად შეავიწროვეს ქართული და სომხური წინააღმდეგობრივი ჯგუფები,[10] თუმცა მათთვის მდგომარეობა 1750-იანი წლებისთვის ისევ გართულდა - ერთი მხრივ, ქართლისა და კახეთის სამეფოების დაჟინებული სწრაფვა ავტონომიურობისკენ და მეორე მხრივ, სომხური ჯგუფების თვალსაჩინო გააქტიურება, რომელთა ძირითად ამოცანად უწინდებურად სომხეთის უცხო ბატონობისგან გათავისუფლება და ქვეყნის სახელ-მწიფოებრიობის აღდგენა რჩებოდა, გარკვეული თვალსაზრისით, სამხრეთ კავკასიაში ოსმალეთის იმპერიისა და ირანის ბატონობის დასასრულის დასაწყისზე მიანიშნებდა.

ერეკლე II-ის პერცეფცია XVIII საუკუნის მეორე ნახევრის სომხური განმათავისუფლებელი მოძრაობის ლიდერებში

მე-18 საუკუნის პირველი ნახევარი, ქართველი და სომეხი ხალხებისთვის, ალბათ, გამორჩეულად რთული პერიოდი იყო. მიუხედავად უწყვეტი წინააღმდეგობისა, მათ ვერ მოახერხეს ოსმალური და ირანული ბატონობისგან თავის დაღწევა. თუმცა, მდგომარეობის მეტ-ნაკლებად გაუმჯობესება 1750-იან წლებში დაიწყო, რაც დიდწილად ქართლისა და კახეთის სამეფოებში თეიმურაზ II-ისა და ერეკლე II-ის მეფობას უკავშირდებოდა. მათ მმართველობის პირველივე ხანებში, აღმოსავლეთ საქართველოს საზღვრების გამაგრება და 1747 წელს, ირანის მმართველის, ნადერ შაჰ ავშარის[11] მკვლელობის შემდეგ, ირანის ქართულ სამეფოებზე კონტროლის მნიშვნელოვნად შემცირება შეძლეს; ხოლო, მოგვიანებით, 1762 წელს, თეიმურაზ II-ის გარდაცვალების შედეგად ერეკლე II-ის მიერ ქართლისა და კახეთის სამეფოების ერთი გვირგვინის ქვეშ გაერთიანებით, ფაქტობრივად, დასრულდა კიდეც ირანის ბატონობა აღმოსავლეთ საქარ-თველოზე. მართალია, 1750-1760-იან წლებში, აღმოსავლეთ საქართველოსთვის მთავარ გამოწვევად კვლავ ლეკების გამუდმებული მარბიელი ლაშქრობები რჩებოდა, თუმცა ერეკლე II, მამის მსგავსად, აგრძელებდა აქტიურ სამხედრო პოლიტიკას, რომლის შედეგადაც მან არამხოლოდ ქვეყნის შიგნით მოახერხა პოლიტიკური და ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება, არამედ თავისი ძალაუფლება მეზობელ, განჯის, ერევნისა და ნახიჩევანის სახანოებზეც გაავრცელა.[12] საგულისხმოა, რომ სწორედ ამ პერიოდში, სამხრეთ კავკასიაში სომხური განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთი თვალსაჩინო ლიდერი, იოსებ ემინი (1726-1809)[13] გამოჩნდა, რომელმაც არაერთი დაბრკოლების მიუხედავად, ქართლ-კახეთის სამეფოში ჩასვლა და ერეკლე მეფესთან უშუალო კავშირების დამყარება შეძლო.[14]

---

[10] Asatiani, *History of Georgia: From Ancient Times to the Present Day*, 163-164.

[11] ირანის შაჰი 1736-1747 წლებში. Alexander Mikaberidze, *Historical Dictionary of Georgia* (Plymouth: The Scarecrow Press, 2007), 472.

[12] Asatiani, *History of Georgia: From Ancient Times to the Present Day,* 166-169.

[13] А.Р. Иоаннисян, *Иосиф Эмин* (Ереван: Издательство АН Армянского ССР, 1989), 10-13.

[14] იოსებ ემინის პირადი და პოლიტიკური ხასიათის ცნობები მის ავტობიოგრაფიულ თხზულებაშია თავმოყრილი: „იოსებ ემინის ცხოვრება და თავგადასავლები.“ აღნიშნული

იოსებ ემინი 1726 წელს დასავლეთ ირანის ქალაქ ჰამადანში დაიბადა. მოგვიანებით, მისი ოჯახი ინდოეთის ქალაქ კალკუტაში დასახლდა, ხოლო, თავად ემინი ინგლისში გაემგზავრა, სადაც მალევე მოახერხა თავის გამოჩენა და ნორსამბერლენდის ჰერცოგის მხარდაჭერით ვულვიჩის სამხედრო აკადემიაში დაიწყო სწავლა.[15] ნიშანდობლივია, რომ ემინი ჯერ კიდევ საქართველოში ჩასვლამდე ცდილობდა ერეკლე მეფესთან კომუნიკაციის დამყარებას. ამ თვალსაზრისით, საინტერესოა ქართველი მონარქისთვის გაგზავნილი ვრცელი წერილი, რომელშიც ემინი ერეკლე II-ს სომეხი და ქართველი ხალხების მეფედ და მფარველად მოიხსენიებს. ამავე წერილში, ემინი, სომხეთის სახელ-მწიფოებრიობის არ არსებობის პირობებში, სომეხი ხალხის მძიმე მდგომარეობაზე მიუთითებს და ერეკლე II-ს თავის სამსახურს სთავაზობს. მისი აზრით, მხოლოდ ერეკლე II-ს შეეძლო მის მფარველობას მიღმა დარჩენილი სომხების განსაცდელისგან დახსნა და მათთვის სათანადო მფარველობის გაწევა.[16]

საყურადღებოა, რომ არამხოლოდ ერეკლე მეფისადმი გაგზავნილ ამ ვრცელ წერილში, არამედ საკუთრივ ემინის ქართლ-კახეთის სამეფო კარზე ყოფნის პერიოდში იკვეთება მისი დამოკიდებულება სომხეთის სახელმწიფოებრიობის აღდგენის საკითხისადმი, სადაც ის განსაკუთრებულ მნიშვნელობას სწორედ ერეკლე II-ის უშუალო თანამონაწილეობას ანიჭებდა. ქართლ-კახეთის სამეფოში ყოფნის განმავლობაში (დაახლოებით 1763-1765 და 1767-1768 წწ.)[17] ემინი რეგულარულად, სხვადასხვა გზებით ცდილობდა ერეკლე მეფის ყურადღების ფოკუსირებას სომხური სახელმწიფოებრიობის აღდგენის საკითხისადმი. საამისოდ, მან მჭიდრო კომუნიკაცია დაამყარა ოსმალეთის იმპერიის აღმოსავლეთ ნაწილში მდებარე ქალაქ მუშის წმინდა კარაპეტის მონასტრის ეპისკოპოს ოვნანთან, რომელიც, თავის მხრივ, გარკვეული დროის განმავლობაში, ოსმალების წინააღმდეგ მასობრივი აჯანყების გეგმას ამზადებდა. როგორც ირკვევა, ემინის მსგავსად, ეპისკოპოსი ოვნანი, წარმატების აუცილებელ პირობად ერეკლე მეფის ჩართულობას ასახელებდა და მონარქისგან ოსმალეთის იმპერიის სომხებით დასახლებულ რეგიონებში მცირე რაოდენობის მხედრების გაგზავნას ითხოვდა.[18]

პირველწყაროებისა და გამოკვლევების შეზღუდული რაოდენობის გათვალისწინებით, ძნელია იმის თქმა, თუ კონკრეტულად რა გათვლები ჰქონდათ ეპისკოპოს ოვნანს და ემინს, ან/და როგორ შეძლებდნენ ისინი, მცირე რაოდენობის ქართული მხედრობის ოსმალეთში შეჭრით მასობრივი აჯანყების წამოწყებას. თუმცა, იმის გათვალისწინებით, რომ ეპისკოპოსი ოვნანი, ხანგრძლივი დროის

თხზულება, მე-18 საუკუნის ქართულ-სომხური ურთიერთობების და აგრეთვე, კავკასიაში მცხოვრები სხვადასხვა ხალხების სოციალური, ეკონომიკური და პოლიტიკური საკითხების კვლევებისთვის, ფასდაუდებელი წყაროა. ამასთან, გარკვეული თვალსაზრისით, იგი, შესაძლოა შეფასდეს, როგორც ვრცელი პოლიტიკური მანიფესტი, რომელმაც სომხური განმათავისუფლებელი მოძრაობის განვითარებაში უმნიშვნელოვანესი როლი შეასრულა. Joseph Emin, *Life and Adventures of Joseph Emin* (Calcutta: Baptist mission press, 1918).

[15] Иоаннисян, *Иосиф Эмин*, 33.

[16] Emin, *Life and Adventures of Joseph Emin*, 108-113.

[17] Grigol Pheradze, "Heraclius II's Caucasian Policy in the 1760s (according to the autobiographical memoir of Joseph [Hovsep] Emin)", in *Kadmos*, No. 15 (2013): 135.

[18] Emin, *Life and Adventures of Joseph Emin*, 217.

განმავლობაში, გულმოდგინედ ამზადებდა მასობრივი აჯანყების გეგმას ოსმალების წინააღმდეგ,[19] საფიქრებელია, რომ მისი მოთხოვნა გაუაზრებელი და ზედაპირული არ იქნებოდა. ამ თვალსაზრისით, საინტერესოა ეჩმიაწინის კათალიკოსის, სიმეონ I-ის[20] მიერ ერეკლე მეფისადმი გაგზავნილი ერთ-ერთი წერილი, რომელშიც იგი უკიდურესად ნეგატიურ დამოკიდებულებას გამოხატავს ეპისკოპოს ოვნანის და ემინის მოქმედებებისადმი:

> „მსურს ვაცნობო თქვენს უმაღლესობას [ერეკლე II], რომ ასეთმა სულელებმა არ უნდა გამოიყენონ თქვენი სახელი და ბეჭედი. მათ ამით უფრო მეტი ზიანი მოაქვთ, ვიდრე სიკეთე. გწერთ იმიტომ, რომ მიყვარს და პატივს ვცემ თქვენს უმაღლესობას. ვინ არის ოვნანი, რომ მას უგზავნით წერილს, და რატომ იყენებთ ისეთ სულელ შიკრიკს, რომელიც წერილს ყველას უჩვენებს? გთხოვთ, გადახედოთ სიტუაციას და აცნობოთ ემინს, რომ მას, თავისი ხალხი გვერდით უნდა ჰყავდეს. მან უნდა გააცნობიეროს, რომ ჩვენი მიწა ურწმუნოების ხელშია და ასეთი საქციელი დიდ უბედურებას მოუტანს ჩვენს ერს“.[21]

გარდა იმისა, რომ ეს საბუთი ნათლად მიუთითებს სიმეონ I-ის ნეგატიურ პოზიციაზე, იგი, გარკვეულწილად, საშუალებას გვაძლევს მივიჩნიოთ, რომ ემინსა და ოვნანს შორის კომუნიკაცია სწორედ ერეკლე II-ის მეთვალყურეობის ქვეშ მიმდინარეობდა - წინააღმდეგ შემთხვევაში, ემინი, დამოუკიდებლად ვერ შეძლებდა ეპისკოპოსთან სამეფო ბეჭდის მქონე საბუთების გაგზავნას. მეტიც, იოსებ ემინის ავტობიოგრაფიული თხზულების ანალიზი აჩვენებს, რომ ერეკლე II, მიუხედავად მისი თავშეკავებული პოზიციისა მასობრივი აჯანყების თაობაზე, საწყის ეტაპზე, მკაფიოდ გამოხატავდა ემინთან თანამშრომლობის გაღ-რმავებისადმი დაინტერესებას. ამაზე მეტყველებს - ემინის ქართლ-კახეთის სამეფო კარზე ხანგრძლივი დროით შეყოვნება, მისი ახლო ურთიერთობები ქართველ მონარქთან, ემინისთვის ერეკლე მეფის მიერ სამხედრო ამოცანების დასახვა და სხვ. თუმცა, ფაქტია, რომ ერეკლე II-ს ემინისა და ოვნანის გეგმის საპასუხოდ შემხვედრი ნაბიჯები არ გადაუდგამს, რაც საფიქრებელია, რომ ორი ძირითადი მიზეზით იყო განპირობებული:

1) ერეკლე II-ის მიერ, ოსმალეთის იმპერიის სომხური მოსახლეობით დასახლებულ რეგიონებში, მასობრივი აჯანყების წამოსაწყებად ქართველი მხედრების გაგზავნა, ოსმალეთის იმპერიისთვის ომის ღიად გამოცხადების ტოლფასი იქნებოდა, რაც ძლიერი მოკავშირის არარსებობის პირობებში, თავიდანვე მარცხისთვის იქნებოდა განწირული.

2) ერეკლე II ითვალისწინებდა ეჩმიაწინის კათალიკოსის, სიმეონ I-ის ანტაგონისტურ განწყობებს, რომელიც სომხეთის სახელმწიფოს არარსებობის პირობებში, არამხოლოდ სომეხი ერის სულიერი ლიდერის, არამედ ერის გამაერთიანებლის, ესე იგი ეროვნული ლიდერის ფუნქციასაც

---

[19] Иоаннисян, *Иосиф Эмин*, 128-129.

[20] ეჩმიაწინის კათალიკოსი 1763-1780 წლებში. Bournoutian, *Armenians and Russia (1626-1796): A Documentary Record*, 476.

[21] იქვე, საბუთი No. 279, 237.

ითავსებდა.[22] ცხადია, ერეკლე II-ის რეგიონული პოლიტიკა არ ყოფილა და ვერც იქნებოდა სიმეონ I-ის შეხედულებებით ნაკარნახევი, თუმცა კათალიკოსის შეურიგებელი დამოკიდებულება ემინის მოქმედებებისადმი, სხვა მნიშვნელოვან საკითხებთან ერთად, იმის მანიშნებელიც იყო, რომ ამ უკანასკნელს არ გააჩნდა საკმარისი მხარდაჭერა საკუთრივ სომხური თემისგან, რაც ორმაგად ართულებდა მის მიერ დასახული ამოცანების შესრულების შესაძლებლობას.

ამასთან, ერეკლე მეფისა და იოსებ ემინის ურთიერთობებზე მსჯელობისას, აღსანიშნავია ემინის მიერ წარმოდგენილი ერთიანი ქართულ-სომხური სახელმწიფოს შექმნის იდეა, რომელიც, მისი აზრით, ორ ხალხს შორის ღირსეული კავშირის დამკვიდრების საწინდარი უნდა ყოფილიყო.[23] ამ შემთხვევაშიც, შესაბამისი მასალების სიმწირის მიზეზით, შეუძლებელია ზუსტად იმის განსაზღვრა, თუ კონკრეტულად როგორ ესახებოდა ემინს თავისი ჩანაფიქრის ხორცშესხმა ან/და კონკრეტულად როგორი ტიპის სახელმწიფოს ჩამოყალიბებას განიხილავდა შესაძლებლად. თუმცა, ემინის პიროვნების ერთიანი სურათის გათვალისწინებით, ალბათ, გვაქვს საშუალება მივიჩნიოთ, რომ მისი ხედვები, რაც 1760-იან წლების პირველ ხანებამდე, იდეოლოგიური თვალსაზრისით, მეტად იყო გადახრილი დასავლეთ ევროპულ სახელმწიფოთა გამოცდილებისკენ, ხოლო იმპლემენტაციის მხრივ უპირატესობას ერეკლე მეფის ფაქტორს ანიჭებდა, დროთა განმავლობაში, საერთაშორისო სარბიელზე და რეგიონში მიმდინარე ცვლილებების ფონზე, 1780-1790-იანი წლებისთვის ემინის ორიენტაცია მეტწილად დაშორდა ამ პოზიციებს და იგი, უფრო მეტად რუსეთის იმპერიისკენ გადაიხარა, რომელსაც, მისი აზრით, სომეხი და ქართველი ხალხების გაერთიანების შემდეგ, მათი მფარველობის პასუხისმგებლობა უნდა აეღო.[24]

1760-იან წლებში იოსებ ემინის მცდელობები სომხური სახელ-მწიფოებრიობის აღდგენის მიმართულებით ვერ განხორციელდა, რაც, გეოპოლიტიკური თვალსაზრისით, მეტწილად სამხრეთ კავკასიაში ოსმალეთის იმპერიისა და ირანის უკონკურენტო გავლენით იყო განპირობებული; ხოლო, რაც შეეხება რეგიონულ განზომილებას, ამ შემთხვევაში მის გეგმებზე მნიშვნელოვანი გავლენა ერთი მხრივ, ერეკლე II-ის შეზღუდულმა სამხედრო-პოლიტიკურმა შესაძლებლობებმა და მეორე მხრივ, საკუთრივ სომხური თემის არასაკმარისმა მხარდაჭერამ იქონია. ალბათ, ეს უკანასკნელი ყველაზე ნათლად სიმეონ კათალიკოსის დამოკიდებულებაში გამოჩნდა, როდესაც, ემინის თხზულების მიხედვით, მან ერეკლე მეფეს იოსებ ემინთან ყოველგვარი კავშირის გაწყვეტა და

---

[22] Sebouh Aslanian, *Dispersion History and the Polycentric Nation: The Role of Simeon Yerevantsi's Girk or Koci Partavcar in the 18th Century National Revival* (Venice: S. Lazarus, 2004), 36-37.

[23] აღსანიშნავია, რომ ქართული და სომხური ძალების გაერთიანების საკითხი ჯერ კიდევ მე-17 და მე-18 საუკუნეებში, თეიმურაზ I-ისა და ვახტანგ VI-ის მეფობის დროს განიხილებოდა აქტიურად. ამ თვალსაზრისით, საინტერესოა: გურამ მაისურაძე, *ქართველი და სომეხი ხალხების ურთიერთობა XIII-XVIII საუკუნეებში* (თბილისი: მეცნიერება, 1982) და ელდარ მამისთვალაშვილი, *საქართველოს საგარეო პოლიტიკა და დიპლომატია: XVII საუკუნის პირველი ნახევარი - თეიმურაზ I-ის ეპოქა* (თბილისი: უნივერსალი, 2011).

[24] Emin, *Life and Adventures of Joseph Emin*, 211.

მისი სამეფოდან გაძევება სთხოვა.[25] ამრიგად, ერეკლე II-ის ბრძანების შესაბამისად, იოსებ ემინმა ქართლ-კახეთის სამეფო 1767/1768 წელს, დატოვა.

* * *

ერეკლე II-ის და იოსებ ემინის ურთიერთობა კომპლექსური საკითხია. ემინის მოქმედებებზე დაკვირვებით ცხადი ხდება, რომ ის, საუკუნეების განმავლობაში მიმდინარე ხანგრძლივი პროცესის, სომხური განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთი თვალსაჩინო და გამორჩეული ლიდერი იყო. მართალია, მან სამხრეთ კავკასიაში ყოფნის დროს, ვერ მიაღწია თავის ძირითად მიზანს, თუმცა მისმა საქმიანობამ უდავოდ პოზიტიური გავლენა იქონია სომხეთის განმათავისუფლებელი მოძრაობის გააქტიურებაზე. ალბათ, პარადოქსულია, რომ სწორედ მაშინ, როდესაც მან სამხრეთ კავკასია დატოვა და ინდოეთში გაემგზავრა, რეგიონში სრულიად ახალი პოლიტიკური მოცემულობა შეიქმნა, რომელიც რუსეთ-ოსმალეთის 1768-1774 წლების ომის დაწყებასთან იყო დაკავშირებული.

საგულისხმოა, რომ 1768-1774 წლების რუსეთ-ოსმალეთის ომამდე, მხარეებს შორის დიპლომატიური ურთიერთობები თანდათან უარესდებოდა. 1760-იანი წლებიდან ოსმალეთის იმპერია ისევ აქტიურად ეძებდა გზებს სამხრეთ უკრაინასა და შავი ზღვის რეგიონის დასავლეთ ნაწილებში რუსეთის პოლიტიკურ და ეკონომიკურ ინტერესებთან დასაპირისპირებლად, რაც ორ ძალას შორის ბუნებრივად წარმოშობდა ინტერესთა კონფლიქტს. მიუხედავად იმისა, რომ 1768 წლისთვის არც ერთი მათგანი არ იყო მომზადებული ახალი ფართომასშტაბიანი კონფლიქტის წამოსაწყებად, ძირითად საკითხებთან დაკავშირებული მწვავე უთანხმოებების ფონზე, ომის არიდება გარდაუვალი გახდა და იმავე წლის შემოდგომას, მათ შორის ოფიციალურად გამოცხადდა საომარი მდგომარეობა.[26] აქვე, ალბათ, საჭიროა, აღინიშნოს, რომ მხარეებს შორის არსებულ მწვავე ურთიერთობებზე მნიშვნელოვან გავლენას ევროპის სახელმწიფოებში არსებული ანტირუსული განწყობები ახდენდა, რაც თავის მხრივ, გლობალურ ასპარეზზე რუსეთის იმპერიის თვალსაჩინო სამხედრო-პოლიტიკური მიღწევებით იყო განპირობებული. მართლაც, რუსეთის იმპერიის დაწინაურება განსაკუთრებით შემაშფოთებელი ფრანგი დიპლომატებისთვის აღმოჩნდა, რომელთაც კანადისა და ინდოეთის ტერიტორიების ბრიტანეთისთვის დათმობის შემდეგ თავიანთი ყურადღება აღმოსავლეთის ქვეყნებზე, კერძოდ, ოსმალეთის იმპერიაზე გადაიტანეს, რომელიც მიუხედავად მრავალი საშინაო პრობლემისა კვლავ მოიაზრებოდა ისეთ ანგარიშგასაწევ ძალად, რომელიც რუსეთის იმპერიისთვის წინააღმდეგობის გაწევას შეძლებდა.[27]

ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ 1768-1774 წლების ომის დროს, სხვა სტრატეგიულ მიზნებთან ერთად, სულ უფრო აშკარა ხდებოდა რუსეთის იმპერიის დამოკიდებულება ოსმალების გავლენის ქვეშ მყოფი ქრისტიანი ხალხების მიმართ. გარდა იმისა, რომ ეკატერინე II თავის თავს აღმოსავლეთ ქრისტიანების ერთადერთ „მფარველად“ მიიჩნევდა, იგი, 1768 წლის შემდეგ, აქტიურად

[25] იქვე, 218-219.

[26] მიხეილ სვანიძე, *ოსმალეთის ისტორია : 1600- 1923,* ტომი II, (თბილისი: ქრონოგრაფი, 2002), 99-100.

[27] ოლეგ ჯიბაშვილი, *რუსეთ-ოსმალეთის 1768-1774 წლების ომი და სამხრეთ საქართველო* (ბათუმი: შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2010), 24-26.

განიხილავდა მიმდინარე კონფლიქტში სხვადასხვა ქრისტიანი ხალხის ჩართვასაც.[28] ასეთი ვითარება ბალკანელ ხალხებთან ერთად, ახალ შესაძლებლობებს არამხოლოდ ოსმალეთის იმპერიის აღმოსავლეთ პროვინციებში მცხოვრებ სომეხ, ქართველ, ქურთ და სხვ. ხალხებს უქმნიდა, არამედ საკუთრივ ქართულ სამეფოებსაც, რომლებმაც მხარეებს შორის ომის დაწყებისთანავე დაიწყეს რუსეთის იმპერიისთვის მხარდაჭერის აღმოჩენასთან დაკავშირებული წინადადების წამოყენება.

ამრიგად, ბუნებრივია, რომ ომის განმავლობაში იმერეთის და ქართლ-კახეთის სამეფოები, ფაქტობრივად, უწყვეტად მოიაზრებოდნენ სამხრეთ კავკასიის რეგიონში რუსეთის იმპერიის მოკავშირეებად. 1768-1774 წლების ომში იმერეთის მეფე სოლომონ I მიზნად სამეფოდან ოსმალური გარნიზონების განდევნას და მისი გავლენიდან გამოსვლას ისახავდა მიზნად, ხოლო ქართლ-კახეთის სამეფოს ერთ-ერთი ძირითადი მიზანი ერთიანი საქართველოს შემადგენლობაში შემავალ ისტორიულ მიწებზე, კერძოდ, ახალციხის საფაშოზე (ისტორიული სამცხე) იურისდიქციის აღდგენა იყო. გარდა იმისა, რომ ეს რეგიონი ერეკლე II-ს საქართველოს განუყოფელ ნაწილად მიაჩნდა,[29] სამცხის პროვინციის დაკავებას მისთვის სტრატეგიული მნიშვნელობაც ჰქონდა. გარკვეულწილად, ერეკლე მეფეს ხელს უწყობდა ის გარემოებაც, რომ მე-18 საუკუნის 60-70-იანი წლებისთვის ახალციხის საფაშოს მოსახლეობის მნიშვნელოვან ნაწილს ქართველები შეადგენდნენ, რომლებიც, მიუხედავად ოსმალეთის აგრესიული პოლიტიკისა, მეტ-ნაკლებად ახერხებდნენ ქრისტიანული სარწმუნოების და ქართული იდენტობის შენარჩუნებას.[30] ამავდროულად, ქართლ-კახეთის მეფე უწინდებურად ინარჩუნებდა მაღალ ავტორიტეტს ოსმალეთის იმპერიაში მცხოვრებ სომხურ, ქურთულ და ასირიულ მოსახლეობაში, რაც კონფლიქტში ჩართვის შემთხვევაში მნიშვნელოვნად ზრდიდა მისი წარმატების შანსებს.[31]

ნიშანდობლივია, რომ ერეკლე II, სომხური ჯგუფების მსგავსად, მართლაც დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ოსმალეთის ქურთულ და ასირიულ მოსახლეობასთან კავშირების გაღრმავებას, რაზეც მას და ქურთ ბელადებს შორის

---

[28] იქვე, 26-27.

[29] ვალერიან მაჭარაძე, *მასალები XVIII საუკუნის მეორე ნახევრის რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიისათვის: რუსეთ-თურქეთის ომი 1768-1774 წლებში და საქართველო,* ნაწილი III, ნაკვეთი I (თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1988), საბუთი No. 123, 357-362.

[30] რომან გოგოლაური, *რუსეთ-ოსმალეთის ომები და სამხრეთ საქართველოს საკითხი* (თბილისი: უნივერსალი, 2016), 9-18.

[31] ალბათ, ამ თვალსაზრისით, საინტერესოა, ისტორიკოს ბეი-მამიკონიანის დაკვირვება, რომელიც მან 1760-იანი წლების ქართულ-სომხური ურთიერთობების შესწავლის შედეგად გამოთქვა: „წინა აზიის მთელ სივრცეზე, აღმოსავლეთ ანატოლიის სამხრეთ საზღვრებიდან და ირანის ქურთისტანიდან დაწყებული, ვიდრე კავკასიონის მთიანეთის ყველაზე უდაბურ ხეობებამდე, ყველა ეროვნებისა და სარწმუნოების წარმომადგენელნი მზად იყვნენ დაუფიქრებლად ერწმუნებინათ ყოველგვარ სახიფათო წამოწყებათა განხორციელების შესაძლებლობა, თუ მათ შეჰპირდებოდნენ ერეკლეს დახმარებას, და ვერ ჰბედავდნენ ვერაფერს, თუ რომ ამ დახმარების იმედი არ ჰქონდათ.“ გ. ბეი-მამიკონიანი, „XVIII ს. ნახევრად დავიწყებული მემუარისტი ერეკლე მეორეზე და მისდროინდელ ქართველებზე“, *საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე*, ტ. V, No. 2 (1944): 199-200.

ჩამოყალიბებული აქტიური კორესპონდენცია მიუთითებს.[32] ამავდროულად, ქართლ-კახეთის მეფის პოლიტიკურ დღის წესრიგში სულ უფრო მეტ ადგილს რუსეთის იმპერიის სამხრეთ კავკასიაში გააქტიურების საკითხი იკავებდა. ერეკლე მეფის რუსეთის იმპერიასთან თანამშრომლობის გაღრმავებით დაინტერესება, ალბათ, ყველაზე მკაფიოდ, რუს ფუნქციონერებთან წარმოებულ კორესპონდენციაში იჩენდა თავს, სადაც ქართველი მონარქი გამუდმებით მიუთითებდა რეგიონში რუსული სამხედრო ძალების გააქტიურების საჭიროებაზე - იმ შემთხვევაში თუ რუსეთიდან შესაძლებელი იქნებოდა ადეკვატური რაოდენობის სამხედრო ძალების თავმოყრა, ერეკლე II ოსმალების მიერ დამორჩილებული ხალხების გაერთიანების გზით, უშუალოდ ოსმალეთის იმპერიის ტერიტორიაზე ვარაუდობდა საბრძოლო მოქმედებების წარმოებას.[33] ამ თვალსაზრისით, საყურადღებოა, 1769 წლის 24 ივლისს, საქართველოში მივლენილი რუსი დიპლომატის, გრიგოლ ხვაბულოვის ვრცელი მოხსენება, რომელშიც ის, სხვა მნიშვნელოვან საკითხებთან ერთად, ერეკლე მეფის რუსეთის იმპერიასთან ალიანსში შესვლის და ოსმალეთის იმპერიის წინააღმდეგ ერთობლივი ძალებით დაპირისპირების საკითხებზე მსჯელობდა:

> „თბილისში ყოფნისას, თქვენი [გენერალი პოტაპოვი] ზეპირი დირექტივის შესაბამისად, მეფე ერეკლეს არარატის სომხების მობილიზება შევთავაზე, რათა თურქების წინააღმდეგ საერთო ბრძოლაში მათაც მიიღონ მონაწილეობა. თავის მხრივ, მეფე ერეკლემ დამარწმუნა, რომ, ეს იოლი იქნებოდა, რადგან სომხების ნაწილი უკვე მისი მმართველობის ქვეშ იყო და ამ საქმეში მათ მოკავშირედ მიიჩნეოდა. ამასთან, მან გამოხატა დახმარების მიღების იმედი და

[32] ამ საკითხთან დაკავშირებული საბუთების მნიშვნელოვანი ნაწილი XX საუკუნის ქართველ ისტორიკოსს, ვალერიან მაჭარაძეს აქვს გამოქვეყნებული. Валериан Мачарадзе, *Грузинские документы по истории грузино-курдско-ассирийско-русских взаимоотношений: 60-70-е гг. XVIII века* (Тбилиси : Сабчота Сакартвело, 1989).

[33] საინტერესოა ერეკლე II-ის მიერ, 1969 წლის 4 სექტემბერს, იმპერატორ ეკატერინე II-ის მრჩევლის და რუსეთის იმპერიის საგარეო საქმეთა კოლეგიის წევრის (1763-1781), გრაფ ნიკიტა პანინისადმი გაგზავნილი ერთ-ერთი წერილი, რომელშიც მეფე, სხვა საყურადღებო საკითხებთან ერთად, ხაზს უსვამს საომარი მოქმედებების დაჩქარების მნიშვნელობას: „თხუთმეტი პოლკი ჯარი რომ მოგვიხსენებიეს, ამ თხუთმეტის პოლკისაგან ხუთი პოლკი ჯარი ახლა გვებოძოს, ამ ზამთრამდისვე. ამიტომ, რომ, თუმცა ამისა ღრაფობის ბრწყინვალებამ ათას ხუთასი კაცი აღგვითქუა მაღალს კარს მოუჴსენებლად, მაგრა ესე არა კმა არს. და ეს ხუთი პოლკი ჯარი ამად გვნებავს ამ ზამთრამდის და ამისთჳს მოგახსენებთ და გთხოვთ, რომ, რადგან ოსმალთ ძალი ჩუჱნს საზღურადმდე არ მოწეულა, ჩუჱნ იმ ჯარის შეწევნით, რომელნიც რომ არარატის მთის გარეშემო, ანუ ახალციხისა და ანუ ყარსისა გარე[შე]მო ქრისტიანენი არიან [ქართველები, სომხები, ასირიელები და ქურთები], და იგინი ოსმალთა მონებასა ქუჱშე იყოფებიან, და კუალად, რომლენიც შავის ზღვის გარე[შე]მო ჩვენ კერძო ადგილნი უჭირავთ, შესაძლებელი არს რომ ყოველივე ძალითა ღვთისათა მიუღოთ; და ათი პოლკი გაზაფხულზე, როდესაც დროსა და საქმესა ეშესაბამებოდეს, მაშინ გვიბოძოთ, ღუთითა და//ყოვლად მოწყალის ხელმწიფის ბედნიერობით ვჰგონებთ, რომ მისს დიდებულებას სხუას ჯარებისაგან ჩუჱნ კერძო ნაკლები ბრძოლა არ ვაჩუჱნოთ და სამსახური.“ მაჭარაძე, *მასალები XVIII საუკუნის მეორე ნახევრის რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიისათვის: რუსეთ-თურქეთის ომი 1768-1774 წლებში და საქართველო,* ნაწილი III, ნაკვეთი I, საბუთი No. 160, 413-416.

> დაადასტურა მისი მზაობა არარატის სომხების საომრად მობილიზების და თურქულ ქალაქებზე შეტევის წამოწყებისადმი.“[34]

ამავე მოხსენებით ბარათში, ხვაბულოვი ხაზგასმით მიუთითებდა ქართლ-კახეთის მეფის პოზიციაზე - ერეკლე II მზად იყო, რუსეთის იმპერიისგან შესაბამისი სამხედრო მხარდაჭერის მიღების შემთხვევაში, თავი მოეყარა ოსმალების მიერ დამორჩილებული ხალხებისთვის და გაერთიანებული ძალებით, თვით კონსტანტინოპოლამდე გაეკაფა ბრძოლით გზა.

აღსანიშნავია, რომ ოსმალეთის იმპერიის აღმოსავლეთ პროვინციებში მცხოვრები ხალხების მსგავსად, საერთაშორისო სარბიელზე ქართული სამეფოების გააქტიურებამ რუსეთის იმპერიაში მოქმედი გავლენიანი სომხური ჯგუფების ყურადღებაც მიიპყრო. ამ თვალსაზრისით, გამოსარჩევია ასტრახანელი სომეხი ვაჭრის, მოვსეს სარაფოვის (ასევე ცნობილია როგორც მოვსეს ბუნიათოვი) მიერ შედგენილი დიდი მოცულობის პროექტი, რომელსაც მრავალი გავლენიანი სომეხი აწერდა ხელს. 1769 წლის 8 ივნისით დათარიღებული 14 პუნქტიანი პროექტი, სხვადასხვა ლოგისტიკურ საკითხებთან ერთად, ხაზს უსვამდა სომხური მიწების გათავისუფლების აუცილებლობას და გამოკვეთდა ამ მიზნის მისაღწევად ჩასატარებელ სამუშაოებს.[35] პროექტის პირველივე პუნქტში, სარაფოვი ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ სომხების საბრძოლო მორალის ასამაღლებლად, რუსეთიდან სამხრეთ კავკასიაში ჯარების შეყვანა ორი ძირითადი მიმართულებიდან, კასპიის ზღვის დასავლეთ სანაპიროს და უშუალოდ საქართველოს გავლით იქნებოდა მიზანშეწონილი.[36] ამასთან, პროექტის მეექვსე პუნქტში, ავტორი ქალაქ ერევნის სტრატეგიულ მნიშვნელობას გამოკვეთდა და ერეკლე II-ის მიერ ერევნის სახანოში პოზიციების მაქსიმალურად გამყარების აუცილებლობას უსვამდა ხაზს. სარაფოვის აზრით, ერეკლე მეფის მიერ სახანოს დაკავება მნიშვნელოვნად დაეხმარებოდა ოსმალეთის იმპერიის წინააღმდეგ ეფექტური სამხედრო ოპერაციების დაგეგმვას და განხორციელებას.[37] ამ თვალსაზრისით, ალბათ, ყველაზე საინტერესო პროექტის მეშვიდე პუნქტია, რომელშიც ავტორი კოალიციური არმიის შექმნის საჭიროებაზე მსჯელობს:

> „ერევნის ციხესიმაგრეზე პოზიციების გამყარების შემდეგ, ქართველი მეფეები, ერეკლე და სოლომონი სომხებთან, მოკავშირეთა ძალებთან და ერევანში განლაგებულ ჯარებთან ერთად, თავიანთი პოზიციებიდან წამოიწყებენ შეტევას თურქეთის ციხეებსა და მათი საზღვრების მიმართულებით. უფრო ზუსტად, მეფე ერეკლე თავისი საზღვრებიდან ჯერ მეზობელ ქალაქ ახალციხეს, ხოლო შემდგომ ყარსს შეუტევს. პარალელურად დაიწყება შეტევა ერევნიდან თურქეთის ციხეებზე, უპირველესად ბაიაზეთზე და შემდეგ ვანზე. ამის შემდეგ, თუ

[34] იქვე, საბუთი No. 143, 386-392.

[35] Мкртич Нерсисян, *Армяно-Русские Отношения в XVIII веке: 1760-1800 гг.* Т. IV (Ереван: Издательство Академии Наук Армянской ССР, 1990), საბუთი No. 45, 86-93.

[36] იქვე, No. 45, 86.

[37] იქვე, No. 45, 89.

უფალი ინებებს, ყველა თავისი შესაძლებლობებიდან გამომდინარე გააგრძელებს წინსვლას.“[38]

მოვსეს სარაფოვის მიერ მომზადებული პროექტი საშუალებას გვაძლევს მივიჩნიოთ, რომ კოალიციური არმიის შექმნის საჭიროებას არამხოლოდ ერეკლე II, არამედ რუსეთის იმპერიაში მოქმედი გავლენიანი სომხური წრეებიც ხედავდნენ. ამასთან, იგი ნათლად წარმოაჩენს სომხური მოსახლეობის საბრძოლო მზაობას და მიუთითებს ამ ჯგუფების მხრიდან ერეკლე მეფისადმი ნდობასა და მასთან თანამშრომლობის მზარდ დაინტერესებაზე. ცხადია, ერეკლე II-ის არაკომპეტენტურობისა და მისი მხრიდან სისუსტის გამოვლენის შემთხვევაში, იგი ვერც რუსეთის იმპერიაში მოქმედი გავლენიანი სომხური წრეებიდან და მითუმეტეს ვერც საკუთრივ ოსმალეთის იმპერიაში მყოფი ეთნიკური ჯგუფებიდან მიიღებდა სათანადო მხარდაჭერას. თუმცა, ომის მიმდინარეობაზე დაკვირვება გვაფიქ-რებინებს, რომ მიუხედავად ერთი მხრივ, ერეკლე მეფის მოთხოვნებისა და ამავდროულად სომხურ-ქურთულ-ასირიული ჯგუფების მიერ წამოყენებული არაერთი წინადადებისა, სამხრეთ კავკასიის ფრონტზე წარმატების მისაღწევად რუსეთის იმპერიას შედეგზე ორიენტირებული ნაბიჯები მეტწილად არ გადაუდგამს. ამაზე, ალბათ, ყველაზე ნათლად რეგიონში მობილიზებული რუსული ჯარების არასაკმარისი რაოდენობა მეტყველებს; ბუნებრივია, რომ იმის ფონზე, როდესაც რუსეთ-ოსმალეთის ძირითად ფრონტზე (სამხრეთ უკრაინის ტერიტორიები და შავი ზღვის ჩრდილოეთ რეგიონები), სადაც მხარეები სხვადასხვა საბრძოლო მოქმედებების საწარმოებლად ათიათასობით სამხედროს მობილიზებას ახდენდნენ,[39] სამხრეთ კავკასიის მიმართულებით რუსული 3,000-4,000 კაციანი შემადგენლობით[40] ძალიან ძნელი იქნებოდა ოსმალეთის წინააღმდეგ ფართომასშტაბიანი საბრძოლო მოქმედებების წარმოება.

ამ თვალსაზრისით, ალბათ, ასევე გასათვალისწინებელია სამხრეთ კავკასიაში რუსეთიდან მივლენილი გენერლებისა და ოფიცრების ორაზროვანი მოქმედებები, რაც არამხოლოდ რაიმე სახის სტრატეგიული მნიშვნელობის პროგრესის მიღწევას ხდიდა შეუძლებელს, არამედ საკუთრივ ქართველ მებრძოლებსა და მეთაურებს შორის იწვევდა დაბნეულობას. ამის მაგალითია გენერალ გოტლიბ ტოტლებენის მიერ დასავლეთ საქართველოში ოსმალების მიერ დაკავებულ პოზიციებზე წარუმატებელი შეტევები, ასპინძის ბრძოლაში რუსული ჯარების პასიური პოზიცია, საკუთრივ ქართლ-კახეთის სამეფოში ერეკლე მეფის საწინააღმდეგო მოქმედებების წარმოება და ბოლოს, გენერალ სუხოტინის მიერ ფოთის ციხეზე წარუმატებელი შეტევა, რამაც, ფაქტობრივად, შეუძლებელიც კი გახადა რუსეთის იმპერიის მიერ სამხრეთ კავკასიაში საბრძოლო მოქმედებების

---

[38] იქვე, No. 45, 89-90.

[39] შედარებისთვის, საბრძოლო მოქმედებების საწარმოებლად, მხოლოდ ოსმალეთის იმპერიას ძირითად ფრონტზე დაახლოებით 150,000-200,000 ათასი ჯარისკაცის მობილიზება შეეძლო. Virginia H. Aksan, *Ottoman Wars 1700-1870 : An Empire Besieged* (London: Pearson Education, 2007), 140-142.

[40] 1969 წლის 22 ოქტომბერს გაცემული ბრძანებით, იმპერატორმა ეკატერინე II-მ საქართველოში გაგზავნილი რუსული საექსპედიციო ჯარების საერთო რაოდენობა 3767 ჯარისკაცამდე გაზარდა. მაჭარაძე, *მასალები XVIII საუკუნის მეორე ნახევრის რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიისათვის: რუსეთ-თურქეთის ომი 1768-1774 წლებში და საქართველო*, ნაწილი III, ნაკვეთი I, საბუთი No. 178, 438-439.

გაგრძელება და საიმპერატორო კარი იძულებული გახდა, 1771 წლის მიწურულს, რუსული საექსპედიციო ჯარების უკან გახმობის გადაწყვეტილება მიეღო.[41]

* * *

რუსეთ-ოსმალეთის ომი, 1774 წელს, ქუჩუქ-კაინარჯის სამშვიდობო ხელშეკრულების ხელმოწერით დასრულდა. მართალია, ხელშეკრულების 23-ე მუხლით ოსმალეთის იმპერიას იმერეთის სამეფოში მონებით ვაჭრობა აეკრძალა, თუმცა რუსეთის იმპერია დასავლეთ საქართველოს კვლავ ოსმალეთის გავლენის სფეროდ აღიარებდა.[42] ხოლო, რაც შეეხება ქართლ-კახეთის სამეფოს, მისი საკითხი ხელშეკრულებაში საერთოდ არ ყოფილა დასმული. ამასთან, 1768-1774 წლების ომის განმავლობაში ერეკლე II-მ ვერ მიაღწია თავის ძირითად სამხედრო მიზნებს. ასეთმა მოცემულობამ, ერთი მხრივ, ისევ გაურკვეველი დროით გადადო სომხეთის სახელმწიფოებრიობის აღდგენის საკითხი და მეორე მხრივ, რეგიონში მნიშვნელოვნად შეარყია ქართლ-კახეთის სამეფოს პოზიციები. ამ თვალსაზრისით, საყურადღებოა სამხრეთ კავკასიური სახანოები, რომლებმაც ქართლ-კახეთის სამეფოსა და რუსეთის იმპერიის დაახლოების მიმართ შეშფოთების გამოთქმა დაიწყეს. უფრო მეტიც, რუსეთის საექსპედიციო ჯარების სამხრეთ კავკასიიდან გასვლის შემდეგ, ისევ რეგულარული სახე მიიღო ლეკების მარბიელმა ლაშქრობებმა აღმოსავლეთ საქართველოზე, რაც მნიშვნელოვან ეკონომიკურ, პოლიტიკურ და სოციალურ ზიანს აყენებდა სამეფოს.[43]

ერეკლე II, ამ გამოწვევების საპასუხოდ, საერთაშორისო სარბიელზე უფრო მეტად გააქტიურდა და იგი არამხოლოდ რუსეთის იმპერიის, არამედ ევროპული სახელმწიფოებისგან ცდილობდა დახმარების მიღებას. ასეთმა მიდგომამ, ფაქტობრივად, 1783 წლის 24 ივლისის რუსულ-ქართული ხელშეკრულების გაფორმებამდე გასტანა, რომლის ძალითაც ქართლ-კახეთის სამეფო ოფიციალურად შევიდა რუსეთის იმპერიის მფარველობის ქვეშ.[44] სამართლებრივი და სტრატეგიული თვალსაზრისით, გეორგიევსკის ტრაქტატი უპრეცედენტო ხასიათისა იყო. იგი ერთი მხრივ, ქართლ-კახეთის სამეფოს, საერთაშორისო სამართლის სუბიექტის სტატუსის დაკარგვის გარეშე, რუსეთის იმპერიის მფარველობის ქვეშ შემავალ პირველ კავკასიურ სახელმწიფოდ აცხადებდა და მეორე მხრივ, რუსეთის იმპერიას ოფიციალურად ამკვიდრებდა რეგიონში. ასეთი მოცემულობა, გეოპოლიტიკური თვალსაზრისით, 1555 წლის ამასიის სამშვიდობო ხელშეკრულებას სამართლებრივ ფუნდამენტს აცლიდა და ამავდროულად, მნიშვნელოვნად ზღუდავდა მისი იმპლემენტაციის ყოველგვარ შესაძლებლობას.[45]

---

[41] რუსეთ-ოსმალეთის 1768-1774 წლების ომის დროს ქართულ-რუსული ურთიერთობების საკითხები ყურადღებით აქვს შესწავლილი ისტორიკოს ვალერიან მაჭარაძეს: *ასპინძის ბრძოლა* (თბილისი: სახელგამი, 1957).

[42] მიხეილ რეხვიაშვილი, *იმერეთი XVIII საუკუნეში* (თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1982), 139-141.

[43] ლუიჯი მაგაროტო, *საქართველოს ანექსია რუსეთის მიერ: 1783-1801* (იტალიურიდან თარგმნა: სალომე კენჭოშვილმა), (თბილისი: მწიგნობარი, 2008), 31.

[44] შველიძე, *საქართველოს მფარველობა და დაპყრობა რუსეთის მიერ*, 33-39.

[45] იქვე, 39-49.

მართალია, 1783 წლის 24 ივლისის მფარველობითი ხელშეკრულების ოფიციალურ ტექსტში არ ყოფილა სომხეთის საკითხი დასმული, თუმცა ბუნებრივია, რომ რუსეთის იმპერიის სამხრეთ კავკასიაში დამკვიდრებისადმი სწრაფვა ახალ პერსპექტივებს უსახავდა სხვადასხვა სომხურ ჯგუფებს. ამდენად, არ არის გასაკვირი, რომ იმხანად, რუსულ-ქართულ პროექტზე მუშაობის პარალელურად, აქტიურად მიმდინარეობდა რუსულ-სომხური პროექტების დამუშავება.

1780-იან წლების დასაწყისში, ივანე ლაზარევის[46] მიერ შედგენილი რუსულ-სომხური წარუმატებელი პროექტის შემდეგ,[47] ამ საქმეს ხელი იოსებ არღუთიანმა[48] მოკიდა და 1783 წელს, რუს ფუნქციონერებთან და ყარაბაღის მელიქებთან აქტიური თანამშრომლობის ფონზე, რუსეთის საიმპერატორო კარს რუსულ-სომხური ხელშეკრულების ახალი პროექტი წარუდგინა.[49] ამასთან, სულ უფრო მეტად აქტიური ხდებოდა ინდოეთში მცხოვრები მდიდარი სომეხი ვაჭარი შაჰამირ შაჰამირიანი (1723-1797), რომელმაც, თავის თანამოაზრეებთან ერთად, ჯერ კიდევ 1770-იანი წლებიდან დაიწყო სომხური განმათავისუფლებელი მოძრაობის ახალი ცენტრის ჩამოყალიბება მადრასში.[50]

ნიშანდობლივია, რომ შაჰამირიანმა მალევე მოახერხა მჭიდრო კავშირების დამყარება ერეკლე მეფესთან, სომეხ პატრიარქებთან, მთავარეპისკოპოს იოსებ არღუთიანთან, ყარაბაღის მელიქებთან და სხვა გავლენიან ადამიანებთან. მისი მიზანი, სხვა სომეხი ლიდერების მსგავსად, სომხური მიწების მუსლიმური ბატონობისგან გათავისუფლება და სომხეთის სახელმწიფოებრიობის აღდგენა იყო. 1780-იან წლებში, ახალ რუსულ-სომხურ პროექტზე მუშაობისას, შაჰამირიანი, არღუთიანის მსგავსად, გარკვეულ იმედებს სწორედ რუსეთის უმაღლესი სამხედრო წრეების გეგმებზე ამყარებდა, რომლებიც, 1779 წელს, ირანის ფაქტობრივი მმართველის, ქერიმ-ხან ზენდის[51] გარდაცვალების შემდეგ შექმნილი კრიზისის

---

[46] გრაფი ივანე ლაზარევი (1735-1801) მე-18 საუკუნის სომხური განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთი გამორჩეული ლიდერია. იგი, სხვადასხვა ჯგუფებთან და გავლენიან პირებთან კოორდინაციის გზით, რუსეთის იმპერიის მხრიდან, სომხეთის საკითხის გადაწყვეტის მიზნით, დახმარების მიღებას ცდილობდა. Bournoutian, *Armenians and Russia (1626-1796): A Documentary Record*, 463.

[47] А.Р. Иоаннисян, *Россия и армянское освободительное движение в 80-х годах XVIII столетия* (Ереван: Издательство АН Армянской ССР, 1990), 15-23.

[48] იოსებ არღუთიანი (1743-1801) მე-18 საუკუნის სომხური განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთი თვალსაჩინო ლიდერია. იგი, მრავალი დეკადის განმავლობაში ინარჩუნებდა მჭიდრო კავშირებს რუსეთის საიმპერატორო კარის წარმომადგენლებთან, სხვადასხვა წარჩინებულ ფუნქციონერებთან, ქართლ-კახეთის სამეფო კართან და სხვადასხვა მნიშვნელოვან პირებთან და ჯგუფებთან. გარდა თავისი სასულიერო მოღვაწეობისა, არქიეპოსკოპოსი არღუთიანი აქტიურად მუშაობდა, რუსეთის იმპერიის დახმარების გზით, სომხეთის სახელმწიფოებრიობის აღდგენის გეგმებზე. Bournoutian, *Armenians and Russia (1626-1796): A Documentary Record*, 446.

[49] იქვე, საბუთი No 357, 299-303.

[50] Satenig Batwagan Toufanian, *Le Piège de l'Orgueil: Un projet Républicain en Orient au XVIIIe siècle* (Paris: Presses de l'Inalco, 2018), 47-54.

[51] ირანის მმართველი 1750-1779 წლებში. John H. Lorentz, *Historical Dictionary of Iran* (Lanham: The Scarecrow Press, 2007), 156.

ფონზე,[52] ირანის წინააღმდეგ სამხედრო კამპანიის დაგეგმვით იყვნენ დაკავებულნი. მათი გათვლებით, სხვა მნიშვნელოვან საკითხებთან ერთად, სწორედ რუსეთსა და ირანს შორის გავლენის სფეროების ახლიდან გადანაწილება უნდა გამხდარიყო სომხური სახელმწიფოებრიობის აღდგენის საწინდარი. ასეთ ვითარებაში, ალბათ, შემთხვევითი არ არის ის, რომ საკუთრივ რუსეთსა და ინდოეთში მოქმედი ჯგუფების მსგავსად, 1780-იანი წლებში გააქტიურდნენ ყარაბაღელი მელიქებიც, რომლებიც მათი ფაქტობრივი მმართველის, იბრაჰიმ ხალილ ხანის[53] საპირისპიროდ რეგულარულ კავშირებს ინარჩუნებდნენ როგორც სომეხ ლიდერებთან, ისე რუს ფუნქციონერებთან.[54]

შაჰამირ შაჰამირიანმა, 1786 წლის დასაწყისში, სომხურ-რუსული ხელშეკრულების ახალი პროექტი წარმოადგინა. იგი, მნიშვნელოვნად განსხვავდებოდა იოსებ არღუთიანის მიერ შემუშავებული პროექტისგან, რომელიც აღდენილ სომხეთს, მეტწილად რუსეთის იმპერიაზე დამოკიდებულ სუბიექტად წარმოადგენდა. შაჰამირიანის პროექტის მიხედვით, რუსული არმიის მიერ გათავისუფლებული სომხეთი არა მონარქიულ სახელმწიფოდ, არამედ რესპუბლიკად უნდა ჩამოყალიბებულიყო, ძალაუფლება „სომხური პალატის“ ხელში უნდა ყოფილიყო კონცენტრირებული და საერთაშორისო ასპარეზზე ქვეყნის ოფიციალური წარმომადგენლის ფუნქცია კი პალატის მიერ არჩეულ პირს უნდა შეეთავსებინა. ხოლო, რაც შეეხება სომხეთის საერთაშორისო სამართლებრივ სტატუსს, იგი რუსეთის იმპერიის თანასწორუფლებიანი მოკავშირე იქნებოდა და გარკვეული სახის დათქმების საფუძველზე, სწორედ ამ უკანასკნელს დაეკისრებოდა სომხური სახელმწიფოს საგარეო საფრთხისგან დაცვის მისია.[55] თუმცა, არღუთიანის და შაჰამირიანის თვალსაჩინო აქტიურობის მიუხედავად, რუსეთის იმპერიის მიერ არაერთხელ გადადებული სამხედრო კამპანიის, რაც მნიშვნელოვნად იყო განპირობებული საკუთრივ ირანში მიმდინარე პოლიტიკური ცვლილებებით,[56] საბოლოოდ რუსეთის იმპერიის პოლიტიკურმა წრეებმა შეუძლებლად მიიჩნიეს მათი წინადადებების დაკმაყოფილება. იოსებ არღუთიანის მიერ 1787 წლის 3 იანვარს შაჰამირიანისადმი გაგზავნილი წერილი

---

[52] მართალია, ქერიმ-ხანის გარდაცვალების შემდეგ, ირანს, რამდენიმე წლის განმავლობაში, ისევ ზენდების დინასტიის წარმომადგენლები მართავდნენ, თუმცა საკუთრივ მათ რიგებში არსებული ურთიერთდაპირისპირებისა და ამავდროულად, აღა-მაჰმად-ხან ყაჯარის, ფაქტობრივად, მუდმივმა მტრობამ ზენდების დინასტიასთან, შეუძლებელი გახადა ქვეყნის ერთი მმართველის ხელში გაერთიანება. საგულისხმოა, რომ მიმდინარე კრიზის ფონზე, სწორედ ალი მურად-ხან ზენდი ცდილობდა რუსეთის იმპერიისგან დახმარების მიღებას და სამაგიეროდ, იგი, რუსეთის სასარგებლოდ უარს ამბობდა ირანის გავლენის სფეროებზე კავკასიაში. ზურაბ შარაშენიძე, *ირანი XVIII საუკუნის მეორე ნახევარში* (თბილისი: მეცნიერება, 1970), 89-119.

[53] ყარაბაღის სახანოს მმართველი 1760-იანი წლებიდან 1806 წლამდე. Bournoutian, *Armenians and Russia (1626-1796): A Documentary Record*, 452-453.

[54] Иоаннисян, *Россия и армянское освободительное движение в 80-х годах XVIII столетия*, 129-139.

[55] იქვე, 153-161.

[56] 1785-1787 წლებისთვის უკვე მნიშვნელოვნად იყო შესუსტებული ზენდების დინასტიის გავლენა ირანში. ხოლო, 1793-1794 წლებისთვის, აღა-მაჰმად-ხანმა საბოლოოდ გაანადგურა ზენდების დინასტია ირანში. ამავე პერიოდიდან, ირანში ყაჯართა დინასტიის მმართველობა იწყება. შარაშენიძე, *ირანი XVIII საუკუნის მეორე ნახევარში,* 119-149.

საშუალებას გვაძლევს ვიფიქროთ, რომ უარის მთავარი მიზეზი სომხეთის ოფიციალური წარმომადგენლის არარსებობა იყო:[57]

> „მე მათ რუსეთსა და სომხეთს შორის გასაფორმებელი ხელშეკრულების თარგმანი გავუგზავნე. მათ მიპასუხეს, რომ ხელშეკრულებები მეფეებს შორის იდება. ვინ არის თქვენი მეფე? ასევე დაამატეს, რომ ჩვენს კათალიკოსს რუსებისგან თავი შორს უჭირავს. შუშის ხანმა მელიქ ჰოვსეფის ვაჟი თავის ციხე-სიმაგრეში წაიყვანა და დააპატიმრა. მან ასევე კათალიკოსი ოვანესი შეაშინა. ყარაბაღის სომხები ახლა ჩუმად არიან და აღარაფერს წერენ.“[58]

სავარაუდოა, რომ რუსეთის საიმპერატორო კარის ასეთი უკუკავშირი მეტწილად ფორმალური ხასიათისა იყო, ვინაიდან სომხეთის ლეგიტიმური საერო წარმომადგენლის არსებობის შემთხვევაში, არც არღუთიანს და არც შაჰამირიანს, სახელმწიფოებრიობის აღდგენასთან დაკავშირებით ახალი პროექტების შემუშავება აღარ დასჭირდებოდათ. მართლაც, საფიქრებელია, რომ რუსეთის საიმპერატორო კარის პირდაპირობა არა თავად ამ პროექტების შინაარსით ან/და სომხეთის ოფიციალური წარმომადგენლის არარსებობით, არამედ საერთაშორისო სარბიელზე შეცვლილი გეოპოლიტიკური სიტუაციით იყო განპირობებული, რაც ერთი მხრივ, მნიშვნელოვნად ამცირებდა სომხური სახელმწიფოებრიობის აღდგენის შესაძლებლობებს და ამავდროულად, მფარველობითი ხელშე-კრულების გაფორმების მიუხედავად, საკუთრივ ქართლ-კახეთის სამეფოს ტოვებდა საგარეო საფრთხეებისგან დაუცველს. უფრო მეტიც, ასეთმა კომპლექსურმა პოლიტიკურმა ვითარებამ განაპირობა ისიც, რომ 1786-1787 წლებში ყარაბაღის მელიქებმაც კი, რომლებიც ათწლეულების განმავლობაში უშედეგოდ ელოდნენ სამხრეთ კავკასიაში რუსეთის გააქტიურებას, საბოლოოდ, დახმარების მიღების ყოველგვარი იმედი დაკარგეს. ამავე პერიოდში, იბრაჰიმ ხალილ ხანის მიერ, სომეხი მელიქების წინააღმდეგ წამოწყებულმა რეპრესიებმა ასობით ოჯახის უსაფრთხოებას შეუქმნა საფრთხე, რამაც სომხური მოსახლეობის მნიშვნელოვან ნაწილს სახანოს დატოვება აიძულა.[59]

* * *

1780-იანი წლების ბოლოსა და 1790-იანი წლების დასაწყისში, სამხრეთ კავკასიაზე მნიშვნელოვან გავლენას 1787-1792 წლების რუსეთ-ოსმალეთის მორიგი ომი ახდენდა. მართალია, მხარეებს შორის, ფაქტობრივად, არ მიმდინარეობდა სამხედრო ოპერაციები კავკასიის მიმართულებით, თუმცა არსებული კონფლიქტი სარკისებურად აირეკლებოდა როგორც ერეკლე მეფის, ისე ინდოეთსა და რუსეთის იმპერიაში მოქმედ სომხური განმათავისუფლებელი მოძრაობის ლიდერთა პოლიტიკურ პროგრამებზე. ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ

---

[57] ცხადია, ეს შეეხება ისეთ ლიდერს, რომელიც სამართლებრივი თვალსაზრისით, ოფიციალურ დოკუმენტებში რუსეთის იმპერატორის თანასწორ პირობებში ყოფნას შეძლებდა.

[58] Bournoutian, *Armenians and Russia (1626-1796): A Documentary Record*, Document No. 386, 323-324.

[59] Иоаннисян, *Россия и армянское освободительное движение в 80-х годах XVIII столетия*, 177-181.

რუსეთის საიმპერატორო კარის ინერტული დამოკიდებულება რუსულ-სომხური პროექტების მიმართ, გარკვეული თვალსაზრისით, სომეხ ლიდერთა მნიშვნელოვან ნაწილს ხედვების გადააზრებისკენ უბიძგებდა. ამრიგად, გასაკვირი არ არის, რომ 1780-იანი წლების ბოლოდან, იოსებ არღუთიანი და შაჰამირ შაჰამირიანი სულ უფრო მეტ ყურადღებას ამახვილებდნენ ერეკლე II-ის ფაქტორზე და ყოველნაირად ცდილობდნენ მასთან ურთიერთობის გაღრმავებას.[60] ასევე, საყურადღებოა, რომ სომხურ-ქართული კავშირების განვითარებით დაინტერესება ცალმხრივი არ ყოფილა, და მასზე გარკვეულ იმედებს თავად ერეკლე მეფეც ამყარებდა, რამაც, ალბათ, სომხურ-ქართული ურთიერთობები სრულიად ახალ ხარისხში აიყვანა.

მართლაც, მე-18 საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში განვითარებული მოვლენები საშუალებას გვაძლევს მივიჩნიოთ, რომ საბოლოოდ, 1783 წლის 24 ივლისის მფარველობითი ხელშეკრულება ქართლ-კახეთის სამეფოსთვის არახელსაყრელი აღმოჩნდა. იმის მიუხედავად, რომ გეორგიევსკის ტრაქტატმა, ფაქტობრივად, სამართლებრივი საფუძველი გამოაცალა სამხრეთ კავკასიის გადანაწილებასთან დაკავშირებულ ამასიის სამშვიდობო ხელშეკრულებას, იმპლემენტაციის თვალსაზრისით, მან ვერ უზრუნველყო ქართლ-კახეთის სამეფოს უსაფრთხოება. 1783 წლის შემდეგ, ოსმალეთის იმპერიის მიერ წაქეზებული მუსლიმი ხანები და ლეკი ბელადები ერთი მეორეს მიყოლებით აყალიბებდნენ ალიანსებს ქართლ-კახეთის სამეფოს წინააღმდეგ. ხოლო, 1787 წლის მეორე ნახევარში, აღმოსავლეთ საქართველოს დასაცავად გაგზავნილი ორი რუსული ბატალიონის უკან გაწვევის შემდეგ, ქართლ-კახეთის სამეფო, ფაქტობრივად, დაუცველი დარჩა იმ რეალური საფრთხის წინაშე, რომელიც შესაძლოა ქართული

[60] აღსანიშნავია, რომ 1787-1788 წლებიდან, იოსებ არღუთიანისა და შაჰამირ შაჰამირიანის ხედვები ერთმანეთს თვალსაჩინოდ დაუახლოვდა. იოსებ არღუთიანი, როგორც რუსეთის იმპერიაში მოქმედი გავლენიანი სასულიერო პირი, მყარ კავშირებს ინარჩუნებდა რუს ფუნქციონერებთან; იგი, ამავდროულად, სომხეთის სახელმწიფიობრიობის საკითხში, შაჰამირიანის მსგავსად, დიდ მნიშვნელობას სწორედ ქართლ-კახეთის სამეფოს თანამონაწილეობას ანიჭებდა. ამ თვალსაზრისით, არაერთი საბუთის მსგავსად, საინტერესოა, იოსებ არღუთიანის მიერ, 1793 წლის მაისში, პლატონ ზუბოვისადმი (შავი ზღვის რუსული ფლოტის მეთაური) გაგზავნილი წერილი, რომელშიც არქიეპისკოპოსი ყარაბაღელი მელიქების საკითხის გადასაწყვეტად ისევ ითხოვდა რუსეთის დახმარებას: „[გადარჩენილი მელიქები] შუშის [ყარაბაღი] ხანის ჩამოსაგდებად, რუსეთისგან მცირე რაზმის გამოყოფას ითხოვენ, რომელსაც სათავეში ერეკლეს შვილიშვილი, უფლისწული დავითი ჩაუდგება. რუსეთის არმიას შეუძლია რეგიონში დერბენდიდან შევიდეს. ბაქოსკენ მიმავალი გზა არ არის რთული გასავლელი და იქიდან ყარაბაღში შესვლა მარტივად შეიძლება. მეორე არმიას შეუძლია საქართველოდან ყარაბაღში გადასვლა.“ Bournoutian, *Armenians and Russia (1626-1796): A Documentary Record*, Document No. 407, 339-341. აგრეთვე, საყურადღებოა, რომ არქიეპისკოპოსმა უმნიშვნელოვანესი როლი შეასრულა 1795 წელს, ფაქტობრივად, განადგურებული თბილისის მოქალაქეების დასახმარებლად, ასევე, მოგვიანებით, ერეკლე II-ის გარდაცვალების შემდეგ იგი უშუალოდ იყო ჩართული სამეფო კარის წევრებს შორის არსებული უთანხმოების გადაჭრაში. რუსუდან ჭუბაბრია, “ერეკლე II-ის მიმართ სომხური ჯგუფის დაპირისპირების მიზეზთა გარკვევისათვის”, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები: აღმოსავლეთმცოდნეობა, No. 327 (1998): 155-168.

სამეფოსთვის სავალალო შედეგებით დასრულებულიყო.[61] ამასთან, გასათვალისწინებელია, ისიც, რომ, ფორმალურად, რუსეთის იმპერიის მფარველობის პირობებში, ქართლ-კახეთის სამეფოს მნიშვნელოვნად ჰქონდა შეზღუდული, დახმარების მიღების მიზნით, ევროპულ მონარქებთან კავშირების ჩამოყალიბების შესაძლებლობები[62] - ასეთ პირობებში, ლოგიკურად გამოიყურება ერეკლე მეფის დაინტერესება ქართულ-სომხური ურთიერთობების გაღრმავებით, რამაც ყველაზე განვითარებული სახე სწორედ შაჰამირ შაჰამირიანთან საქმიანი კავშირების ჩამოყალიბების დროს მიიღო.

აღსანიშნავია, რომ ერეკლე მეფისა და შაჰამირ შაჰამირიანის კავშირები, 1780-იანი წლებიდან, თანმიმდევრულად ვითარდებოდა. ამ მხრივ, ალბათ, გამოსარჩევია ერეკლე II-ის მიერ, 1786 წლის 22 მარტს, შაჰამირიანისთვის თავადის ტიტულის ბოძება[63] და მოგვიანებით, 1790 წლის 16 ნოემბერს, ლორეს რეგიონის სამართავად გადაცემა.[64] ცხადია, ქართველი მონარქის მხრიდან ინდოეთში

---

[61] შველიძე, *საქართველოს მფარველობა და დაპყრობა რუსეთის მიერ*, 49-55. აგრეთვე, ამ თვალსაზრისით, საყურადღებოა, ყარაბაღის მმართველის, იბრაჰიმ ხალილ ხანის ძირგამომთხრელი მოქმედებები ერეკლე მეფის წინააღმდეგ. ოსმალეთის ფაშების მიერ წაქეზებული ყარაბაღის ხანი არაერთი მუსლიმი ხანის მიმხრობას და მათ ერეკლე II-ის წინააღმდეგ ამხედრებას ცდილობდა. ვახტანგ გურული, *მეფე ერეკლე და რუსეთი* (თბილისი: ქართული უნივერსიტეტი, 2018), 167-168.

[62] ქართლ-კახეთის სამეფოს უფლებებს საერთაშორისო ურთიერთობების წარმოების თვალსაზრისით, ხელშეკრულების მეოთხე მუხლი აწესრიგებდა. მისი მიხედვით, ერეკლე II-ს რუსეთის იმპერიის ოფიციალურ წარმომადგენლებთან შეუთანხმებლად შეზღუდული ჰქონდა სხვა სახელმწიფოებთან დიპლომატიური ურთიერთობების წარმოების შესაძლებლობა. ვალერიან მაჭარაძე, "გეორგიევსკის ტრაქტატი: დოკუმენტები", *საძი საუნჯე,* No. 2-8 (2013), საბუთი No. 5, 74.

[63] 1786 წლის 22 მარტით დათარიღებული სამეფო სიგელის ტექსტი, რომლის ძალითაც ერეკლე II-მ შაჰამირ შაჰამირიანს თავადის ტიტული უბოძა, XIX საუკუნის ისტორიკოსს, ალექსანდრე ერიციანს, 1883 წელს, რუსულენოვან გაზეთ „კავკაზში" აქვს გამოქვეყნებული. Александр Ерицян, "Индиская Богатия Завещания", *Кавказ*, No. 94, Апрель 27, 1883, 3. აგრეთვე, აღნიშნული სამეფო სიგელის ინგლისურენოვანი თარგმანი გამოქვეყნებულია, XIX-XX საუკუნის ისტორიკოსის, მესრობ სეთის მიერ, 1937 წელს. Mesrovb Jacob Seth, *Armenians in India: From the Earliest Times to the Present Day* (New Delhi, Madras: Asian Educational Services, 1992), 590-591. მიუხედავად იმისა, რომ სამეფო სიგელის დედანი დღემდე დაკარგულად მიიჩნევა, ისტორიკოსთა მნიშვნელოვანი ნაწილი მის ნამდვილობას აღიარებს.

[64] კვლევის განმავლობაში, არაერთი მცდელობის მიუხედავად, სომხეთისა და საქართველოს არქივებში, ვერ მოხერხდა 1790 წლის 16 ნოემბრის სამეფო სიგელის მოძიება. თუმცა, სამეფო სიგელის გაცემის თარიღი და ერეკლე II-ის მიერ შაჰამირ შაჰამირიანისთვის ლორეს რეგიონის სამართავად გადაცემის ფაქტი, თავის მხრივ, დადასტურებულია ერეკლე II-ის და გიორგი XII-ის მიერ, 1797 წლის 20 ნოემბერს, ერთობლივად გაცემულ საბუთში, რომლის ძალითაც ისინი ხელახლა ამტკიცებდნენ 1790 წლის 16 ნოემბრის სამეფო სიგელს. ამჟამად, 1797 წლის 20 ნოემბერს გაცემული სამეფო სიგელის ქართულენოვანი დედანი სომხეთის მესროპ მაშტოცის სახელობის ძველ ხელნაწერთა ინსტიტუტში ინახება. მატენადარანი, ახალი საბუთები, საქაღალდე No. 1, საბუთი No. 12. აგრეთვე, აღნიშნული სამეფო სიგელის ფოტო-სურათი და მისი სომხურენოვანი თარგმანი გამოქვეყნებული აქვს XX საუკუნის ისტორიკოსს, პაველ

მოღვაწე ვაჭრისადმი გაღებული წყალობა, კარგად გაზომილი და გააზრებული მიზეზებით იყო განპირობებული. ამ თვალსაზრისით, საინტერესოა ისტორიკოს ალექსანდრე ერიციანის ცნობები, რომელიც შენიშნავდა, რომ შაჰამირიანის მიზნებში, თავის ქვეშევრდომებთან და კაპიტალთან ერთად, ქართლ-კახეთის სამეფოში დასახლება და ერეკლე მეფესთან თანამშრომლობის გზით, სომხური ტერიტორიების გათავისუფლება შედიოდა.[65] მართალია, ერთი შეხედვით, საკმაოდ ლოგიკურად შეიძლება გამოიყურებოდეს ერიციანის ცნობები, თუმცა, ამ მხრივ, გარკვეულ შეკითხვებს ბადებს თავად შაჰამირიანის პოლიტიკური საქმიანობა, რომელიც ჯერ კიდევ 1770-იანი წლებიდან, არა ქართულ-სომხური ალიანსის ჩამოყალიბებაზე, არამედ დამოუკიდებელი სომხური სახელმწიფოს შექმნის პროექტებზე მუშაობდა.

შაჰამირ შაჰამირიანის პოლიტიკურ ხედვებზე მსჯელობისას, ალბათ, საჭიროა, ყურადღების გამახვილება მის ნაშრომზე (*Vorogayt Parats* [დიდების მახე]),[66] რომელსაც მისი რწმენით, სომხეთის სახელმწიფოებრიობის აღდგენის შემდეგ, ქვეყნისთვის კონსტიტუციური დოკუმენტის ფუნქცია უნდა შეესრულებინა. ამ ნაშრომში ერთი მხრივ, განხილულია სომხეთის სამეფოს დაცემის გარემოებები, სომეხი ერის ზოგადი ისტორიული, სოციალური და პოლიტიკური საკითხები[67] და ამავდროულად, შემოთავაზებულია კანონთა ვრცელი ჩამონათვალი, რომელიც შაჰამირიანის აზრით, ყველა მოქალაქეს, განურჩევლად მათი სოციალური სტატუსისა და მდგომარეობისა, თანასწორ პირობებში ჩააყენებდა როგორც ხელისუფლების, ისე მართლმსაჯულების წინაშე.[68] ხოლო, რაც შეეხება

ჩობანიანს: "Հնդկահայ գաղթօջախի պատմությունից", *Պատմա-բանասիրական հանդես*, Vol. 1 (1988): Doc. No. 3, 185-187.

[65] Ерицян, "Индиская Богатия Завещания", *Кавказ*, No. 94, Апрель 27, 1883, 3.

[66] შაჰამირ შაჰამირიანის აღნიშნული ნაშრომი, ვრცელი გამოკვლევით და კომენტარებით, ფრანგულ ენაზე, გამოქვეყნებული აქვს ისტორიკოს და ფილოსოფოს, სათენიგ ტუფანიანს. Satenig Batwagan Toufanian, *Le Piège de l'Orgueil: Un projet Républicain en Orient au XVIIIe siècle* (Paris: Presses de l'Inalco, 2018).

[67] „სომეხი ერი დღეს თითქმის მთლიანად უცხო ბატონობის ქვეშ იმყოფება. არც ერთ ჩვენგანს არ შეუძლია და არც უნდა ესწრაფოდეს რაიმე უპირატესობის მოპოვებას ძმაზე, მეზობელზე ან ზოგადად ხალხზე. ჩვენ შორის აღარ არის სუვერენული მმართველი, რომელიც ერთპიროვნული მმართველობის დაკარგვის შიშით უარს იტყოდა თავისი სუვერენიტეტის შეზღუდვასა და დაემორჩილებოდა კანონის უღელს, და რომელიც ამ მიზეზის გამო კავშირს შეკრავდა ბერძნებთან [ბიზანტიელები] ან სპარსელებთან და ამით ზიანს მიაყენებდა ჩვენს ქვეყანას, როგორც ეს ხშირად ხდებოდა წარსულში. ჩვენ შორის დიდგვაროვნები აღარ არიან და შემთხვევით თუ ვინმე დარჩა, ისიც უცნობია. აღარ არიან მთავრები თავიანთი კეთილშობილთა ტიტულებით და არც მიწის მესაკუთრეები, რომელთაც მემკვიდრეობით გადაეცემათ ქონება. განურჩევლად ყველანი უცხო ერების მოსამსახურეები გავხდით; დამორჩილებულნი, საკუთარ ქვეყანაში უგონო პირუტყვებივით მძიმე შრომაში ვართ." იქვე, 233-234.

[68] ამ თვალსაზრისით, საინტერესოა დოკუმენტის 143-ე მუხლი: „სომხეთის ტერიტორიაზე მცხოვრები ნებისმიერი პირი სომხეთის პალატის მფარველობის ქვეშ იმყოფება და შეუძლია თავისუფლად შეიტანოს საჩივარი ნებისმიერი ადამიანის წინააღმდეგ, იქნება ეს პირველი მაგისტრატი, მმართველი, საბჭოს წევრი, მოსამართლე, ხელისუფლების წარმომადგენელი თუ ნებისმიერი პირი. ბრალდებულმა უნდა უპასუხოს მომჩივანს და

სახელმწიფოს პოლიტიკური მოწყობის საკითხს, ამ შემთხვევაში ავტორი არჩევანს რესპუბლიკური მმართველობისთვის დამახასიათებელ ფორმაზე აკეთებდა, რაც არსებითად მოდიოდა წინააღმდეგობაში სომხეთში ძლიერი მონარქიული ინსტიტუტის არსებობის იდეასთან. ცხადია, შაჰამირიანის ასეთი ხედვა, თავის მხრივ შეუთავსებელი იქნებოდა ერეკლე II-ის პოზიციებთან, რომელიც, ფაქტობრივად, მთელი მე-18 საუკუნის მეორე ნახევრის განმავლობაში, როგორც საკუთარ სამეფოში, ისე მის ფარგლებს გარეთ, თავისი ძალაუფლების და გავლენების მაქსიმალურად გამყარებას ცდილობდა.

ერთი მხრივ, შაჰამირ შაჰამირიანის ნაშრომი და მეორე მხრივ, მისი ურთიერთობები ერეკლე მეფესთან, მყარ საფუძველს გვაძლევს საკითხის კომპლექსურობაში დასარწმუნებლად. მართლაც, ალბათ, შემთხვევითი არ არის, რომ დამოუკიდებელი სომხეთისთვის შექმნილ დოკუმენტზე, ავტორი, ქართლ-კახეთის მონარქს, ნაშრომის სატიტულო გვერდზე, სომეხ კათალიკოსთან ერთად იხსენიებდა.[69] ამავდროულად, იგი, ხაზგასმით მიუთითებდა ქართველ ხალხთან მიმართებით მის განსაკუთრებულ დამოკიდებულებაზე[70] და გამოკვეთდა მათ მნიშვნელობას სომეხი ხალხისთვის; შაჰამირიანის აზრით, ქართველები სომეხი ხალხისთვის ყველაზე ახლო და სანდო მეგობრები იყვნენ.[71] ამასთან, ნაშრომში მრავლად არის ისეთი მონაკვეთები, რომლებიც ერთმნიშვნელოვნად გამორიცხავენ ერეკლე II-ის მიერ სომხეთის მეფედ გამოცხადების ყოველგვარ თეორიულ შესაძლებლობას, თუმცა, შაჰამირიანის მიერ დოკუმენტში გაკეთებული დაშვებების, სხვადასხვა მნიშვნელოვან ფიგურებთან კორესპონდენციისა და ზოგადად, მისი პოლიტიკური საქმიანობის ერთიანი სურათის ანალიზი გვაფიქრებინებს, რომ ის, საჭიროების შემთხვევაში, სავსებით შესაძლებლად მიიჩნევდა დამოუკიდებელი სომხეთისთვის შექმნილი პროექტის საფუძველზე ახალი, ქართული სახელმწიფოსთვის შესაბამისი კანონთა კრებულის ან/და

დაემორჩილოს განაჩენს, რომელსაც სასამართლო კანონმდებლობის შესაბამისად გამოიტანს.“ იქვე, 364.

[69] იქვე, 212.

[70] „პირველ რიგში ვისაუბრებ მამაც ქართველ ერზე, რომელიც დასაბამიდან სომხეთის მონარქიის დაცემამდე ზოგჯერ როგორც სუვერენული, ზოგჯერ კი როგორც ვასალი, იცავდა პატარა ქართულ ქვეყანას, რომელიც სომხეთის 15 პროვინციიდან ორზე მეტი [სიდიდით] არ იქნება. ამ ერის კაცებმა თავიანთი თავისუფლების ბრწყინვალება შეინარჩუნეს და მიუხედავად იმისა, რომ ზოგჯერ უკანონო ტირანების ატანა უწევდათ, ბარბაროსების მიერ გაძარცვულები და დატყვევებულები, მაშინ, როდესაც თავისი პატარა ქვეყნის ნაწილი გაუდაბურებული ჰქონდათ, მათ არასოდეს მოუხრიათ ქედი და უცლელად ინარჩუნებდნენ თავიანთი სულის ძლიერებას. პირიქით, ისინი უფრო მამაცები გახდნენ და ზოგიერთმა მათგანმა სიცოცხლეც კი შესწირა თავისუფლების დაცვას; თავისუფლებას, რომელსაც ისინი, მტრებით გარშემორტყმულები და დახმარების გარეშე დარჩენილები დღემდე ინარჩუნებენ.“ იქვე, 288.

[71] ამ თვალსაზრისით, საინტერესოა დოკუმენტის 510-ე მუხლი: „დიდი ხნის განმავლობაში, სომხეთს არ შეეძლო ჰყოლოდა თავისი საკუთარი მმართველები, ესე იგი სომეხი კაცები ეროვნებითა და რელიგიით... ამიტომ, თუ არჩეულ წარმომადგენლებს შორის არ აღმოჩნდება საკმარისად კომპეტენტური, ეროვნებით სომეხი და სომხური ეკლესიის მრევლი, სომეხმა ერმა სხვა ეროვნების კაცებს უნდა მიანდოს ოფიცრის, არქიტექტორის, ამზომველის ან არტილერიის ხელმძღვანელის ფუნქციები: პირველ რიგში, ქართველებს, შემდეგ რუსებს და შემდეგ გერმანელებს...“ იქვე, 444-445.

საკუთრივ ერთიანი ქართულ-სომხური სახელმწიფოსთვის განკუთვნილი პროექტის შედგენას.

აღსანიშნავია, რომ 1786 წლიდან, შაჰამირიანი, თავის მიმოწერაში, ხშირად უსვამდა ხაზს ერეკლე მეფის მნიშვნელობას და მას ქართველი და სომეხი ხალხების მფარველად მოიხსენიებდა. ამ მხრივ, გამოსარჩევია შაჰამირიანის მიერ 1787 წლის 15 ოქტომბერს ერეკლე მეფესა და ეჩმიაწინის კათალიკოსთან გაგზავნილი წერილები. თუ პირველ შემთხვევაში, შაჰამირიანი ვრცლად საუბრობს ერეკლე მეფის საგვარეულოს, ესე იგი ბაგრატიდთა დინასტიის მნიშვნელობაზე საქართველოსა და სომხეთისთვის,[72] ღუკას კათალიკოსისთვის[73] გაგზავნილ წერილში იგი, ხაზგასმით მიუთითებს ერეკლე მეფის ფაქტორზე და დასძენს, რომ სწორედ მასთან თანამშრომლობის გზით მიაჩნია შესაძლებლად რუსეთის იმპერიასთან ისეთი სახის დოკუმენტის გაფორმება, რომელიც ერთხელ და სამუდამოდ გადაწყვეტს სომხეთის საკითხს:

> „ცხადია, შესაძლებელია იმპერატორ ეკატერინესთან [ეკატერინე II] ხელშეკრულების დადება (რასაც მოწმობს საქართველოს მაგალითი [გეორგიევსკის ტრაქტატი]). ჩვენ მხოლოდ სამოქალაქო და სამხედრო ლიდერის პოვნა გვჭირდება. ასეთ შემთხვევაში ჩვენც შევძლებთ შეთანხმების დადებას. ბოლოს და ბოლოს, ერეკლე II ბაგრატიდია (სომხური წარმომავლობის), თუ მან შეძლო ამის გაკეთება, ჩვენ რატომ ვერ შევძლებთ? ერეკლემ მომწერა და მთხოვა, მისთვის კანონთა კრებული გამეგზავნა [დიდების მახე], რათა თავისი ქვეყნის კარგად მართვის შესაძლებლობა მისცემოდა. მე მას წიგნი „დიდების მახე“ გავუგზავნე. ასევე, ერთი ასლი შენც გამოგიგზავნე და მეორე არღუთიანს.“[74]

მართლაც, თუკი ერეკლე II, სომხეთის ოფიციალური წარმომადგენლის როლის შეთავსების გზით, რუსეთის იმპერატორთან ახალი ხელშეკრულების გაფორმებას შეძლებდა, იგი, დოკუმენტში სომეხი ხალხისა და სომხური ტერიტორიების სუვერენად უნდა დაფიქსირებულიყო.[75] ამ მიზნის მისაღწევად კი,

---

[72] Нерсисян, *Армяно-Русские Отношения в XVIII веке: 1760-1800 гг*. Т. IV, საბუთი No. 240, 362-373.

[73] ეჩმიაწინის კათალიკოსი 1780-1799 წლებში. Bournoutian, *Armenians and Russia (1626-1796): A Documentary Record*, 456.

[74] იქვე, საბუთი No. 390, 326.

[75] ალბათ, შემთხვევითი არ არის, რომ სომხეთის სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის დოკუმენტში, შაჰამირ შაჰამირიანი, ერეკლე II-ის მნიშვნელობაზე არამხოლოდ ნაშრომის სატიტულო გვერდზე, არამედ საკუთრივ ტექსტში მიუთითებდა: „მოგვიანებით, არშაკუნიანთა სომხური დინასტია გაქრა და ჩვენთან სმბატ ბაგრატუნის ვაჟი, აშოტი დამკვიდრდა. სომხებმა აშოტ ბაგრატუნი მსგავსი სტუმართმოყვარეობით მიიღეს და მისი დინასტია სომხეთს დაახლოებით სამას ორმოცდაათი წელიწადი, გაგიკ II-ის მეფობამდე მართავდა. სწორედ მასთან ერთად გაქრა არარატის სახლის ბაგრატუნების სომხური დინასტია; დინასტია, რომელიც დღეს ჩვენთვის უცნობი არ არის, რადგან განსხვავებით იაფეტის ან ვაღარშაკისა, რომელთა შთამომავლობა ჩვენთვის უცნობია, ბაგრატუნთა საგვარეულოს მემკვიდრე ამჟამად საქართველოში მეფობს [იგულისხმება ქართველი ბაგრატიონები]. ღმერთმა დაიფაროს იგი!“ Toufanian, *Le Piège de l'Orgueil: Un projet Républicain en Orient au XVIIIe siècle*, 222.

სომხური თემის მობილიზება და მათი მხრიდან ერეკლე მეფისთვის სათანადო მხარდაჭერის გამოცხადება იქნებოდა საჭირო, რაც, გარკვეული თვალსაზრისით, შესაძლოა ხსნიდეს კიდეც ერეკლე II-ის მიერ შაჰამირიანისთვის ლორეს რეგიონის სამართავად გადაცემის ერთ-ერთ ძირითად მოტივს. სავსებით დასაშვებია, რომ ორივე მათგანი, ერევნისა და ყარაბაღის სახანოების მსგავსად, სწორედ ლორეში მიიჩნევდა მიზანშეწონილად სხვადასხვა მხარეში მცხოვრები სომხების თავმოყრას, რომელთა ლიდერის ფუნქციას შაჰამირიანი და შესაბამისად, ერეკლე II შეითავსებდნენ. ამ თვალსაზრისით, ასევე გასათვალისწინებელია, ერეკლე მეფის 1790 წლის 4 დეკემბრის სამეფო მანიფესტი, რომელიც შაჰამირიანის მიერ, 1787 წელს მომზადებული ნიმუშის საფუძველზე შეიქმნა და რომელშიც ქართველი მონარქი, მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში მცხოვრებ სომხებს სამხრეთ კავკასიაში დაბრუნებისა და მისი მფარველობით სარგებლობისკენ მოუწოდებდა.[76]

თუმცა, იმ პირობებში, როდესაც კვლევისთვის მრავალი ისტორიული საბუთი კვლავ მიუწვდომელი რჩება, რთულია იმის თქმა, თუ კონკრეტულად რა გეგმა ან/და მოლაპარაკება არსებობდა ერეკლე მეფესა და შაჰამირიანს შორის. თუმცა, დამუშავებული წყაროებისა და გამოკვლევების საფუძველზე შესაძლებელია მივიჩნიოთ, რომ როგორც ერეკლე II, ისე შაჰამირ შაჰამირიანი, სიცოცხლის ბოლომდე დარჩნენ მათი საზიარო ხედვების ერთგულნი, რაც, გარკვეულ ეტაპზე, შესაძლოა, ერთიანი ქართულ-სომხური სახელმწიფოს ჩამოყალიბებასაც გულისხმობდა. ხოლო, რაც შეეხება იმ საკითხს, რომ 1786-1787 წლებიდან, მათი ხედვები ერთმანეთს თვალსაჩინოდ დაუახლოვდა, გარკვეულწილად, ერეკლე II-ის და მისი მემკვიდრის, გიორგი XII-ის მიერ, 1797 წლის 20 ნოემბერს გაცემული საბუთი ადასტურებს. ამასთან, ერეკლე მეფის გარდაცვალების შემდეგ, გიორგი XII-ის მიერ გაცემული არაერთი საბუთი ამოწმებს ქართლ-კახეთის სამეფო კართან შაჰამირიანის მჭიდრო ურთიერთობას.[77] ამავდროულად, საყურადღებოა, თავად

---

[76] საყურადღებოა, რომ აღნიშნული სამეფო მანიფესტით, ერეკლე II მსოფლიოს სხვადასხვა მხარეში მცხოვრებ სომხებს საკუთარ „სამკვიდრებელ ქვეყანაში“, ესე იგი სომხურ მიწებზე დაბრუნებისკენ მოუწოდებდა და მათ თავის მფარველობას აღუთქვამდა. ერეკლე II-ის მიერ, 1790 წლის 4 დეკემბერს, გაცემული სამეფო მანიფესტით, რომელიც ამჟამად საქართველოს ეროვნულ არქივშია დაცული, ვიგებთ, რომ დოკუმენტი 1879 წლის 2 მარტს, დიმიტრი მღვდლის ოქროაშვილის მიერ, სომხურიდან ქართულ ენაზე იქნა გადმოწერილი. ასევე, დოკუმენტზე გაკეთებულია ჩანაწერი, რომ ერეკლე მეფის მიერ გაცემული მანიფესტი, 1792 წელს, შაჰამირ შაჰამირიანის და მისი თანამოაზრეების მიერ დაარსებულ მადრასის სომხურ სტამბაში ათას ეგზემპლარად გამოიცა. საქართველოს ეროვნული არქივი, ფონდი 1449; საბუთი No. 1300. აღნიშნული სამეფო მანიფესტი, აგრეთვე გამოქვეყნებული აქვს XX საუკუნის ქართველ ისტორიკოსს, ლოვარდ ტუხაშვილს. ლოვარდ ტუხაშვილი, „ქართლ-კახეთის სამეფოს ურთიერთობა კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის ხალხებთან მე-18 საუკუნის მეორე ნახევარში“, *საქართველოს ფეოდალური ხანის ისტორიის საკითხები,* წიგნი 2, რედ. მ. დუმბაძე (თბილისი: მეცნიერება, 1972), 98-99.

[77] ამის მაგალითად შეგვიძლია მოვიტანოთ გიორგი XII-ის მიერ 1799 წლის 14 სექტემბერს ქართველი მოგზაურისა და დიპლომატის, რაფიელ დანიბეგაშვილის სახელზე გაცემული სიგელი, რომელშიც მეფე რაფიელს ხუთასისთავის თანამდებობას ანიჭებდა და მას სპეციალური დავალებით, ხელახლა გზავნიდა ინდოეთში შაჰამირ შაჰამირიანის შვილთან: „და ის მამაშენი ოსეფაი [იოსებ დანიბეგაშვილი, რომელიც წლების განმავლობაში ასრულებდა მედიატორის როლს ერეკლე მეფესა და შაჰამირ შაჰამირიანს შორის] მამის ჩვენისა და ჩვენს სამსახურში გარდაიცვალა. ჩვენცა მამაშენის ნამსახურობის სანუქფოთ

შაჰამირ შაჰამირიანის პოზიცია. მიუხედავად იმისა, რომ ვერც მან და ვერც მისმა შთამომავლებმა ვერ მოახერხეს ქართლ-კახეთის სამეფოში ჩასვლა, იგი, სიცოცხლის ბოლომდე, ერეკლე II-ის და ზოგადად, მეფის პოლიტიკის ერთგული დარჩა, რაც, ალბათ, სხვადასხვა ისტორიული საბუთის მსგავსად, კიდევ ერთხელ დადასტურდა შაჰამირიანის მიერ, 1792 წლის 14 მაისს სომხეთის კათალიკოს ღუკასისადმი გაგზავნილ წერილში, რომელშიც იგი, რუსეთ-ოსმალეთის ომის დასრულების შემდეგ გამართული სამშვიდობო მოლაპარაკებების დროს, ერეკლე II-ის პოზიციების წინ წამოწევის აუცილებლობაზე მიუთითებდა. შაჰამირიანის აზრით, ძალების კონსოლიდაციის მიზნით, ერთი მხრივ, საჭირო იქნებოდა ყარაბაღელი სომეხი მელიქების და იბრაჰიმ ხალილ ხანის შერიგება და ამავდროულად, ოსმალეთის იმპერიის მიერ ერეკლე II-ის სასარგებლოდ აღმოსავლეთ პროვინციების (მათ შორის, ახალციხის, ახალქალაქის, ბაიაზეთის და სხვ.) დათმობა.[78]

ცხადია, იმის გათვალისწინებით, რომ ქართლ-კახეთის სამეფოს, რუსეთ-ოსმალეთის 1787-1792 წლების ომში მონაწილეობა არ მიუღია, იასის საზავო ხელშეკრულებაში, რუსეთის იმპერიის მიერ, ერეკლე II-ის ტერიტორიული

მამაშენის სახელო ხუთასის თაობა შენ რაფიელს გიბოძეთ...და შენ რაფიელა ამ ჟამათ ინდოეთს გაგზავნეთ შამირ-აღას შვილთანა, რათგანაც მამაშენი კურთხეულის მამის ჩვენის სამსახურისათვის ინდოეთს რამდენჯერმე წარგზავნილიყო, შენც იმავეს სამსახურზედ ინდოეთს გაგზავნეთ.“ კობა ხარაძე, *ოცდათორმეტი წელი აზიის ქვეყნებში: რაფიელ დანიბეგაშვილის უჩვეულო მოგზაურობანი (1795-1827 წწ.)* (თბილისი: ლეგა, 2008), 202-205. აგრეთვე, შეგვიძლია უშუალოდ გიორგი XII-ის მიერ, შაჰამირ შაჰამირიანის შვილის, ოვანეს შაჰამირიანისთვის გაგზავნილი, 1799 წლის 23 ოქტომბრის სამძიმრის წერილი მოვიტანოთ. ამ საბუთში, მეფე მწუხარებას გამოთქვამდა შაჰამირის გარდაცვალებაზე და მის მემკვიდრეს, ოვანესს ხელახლა ახსენებდა მის უფლებას ლორეს რეგიონის მმართველობაზე: „თქვენი გამორჩეული მამისა და ჩვენი ერთგული მეგობრის გარდაცვალების ამბავი შევიტყვეთ და მეგობრობის წესების მიხედვით, გამოვიგლოვეთ... თქვენი გარდაცვლილი მამის თხოვნა ლორეს რეგიონთან დაკავშირებით ჩვენმა დალოცვილმა მეფემ დააკმაყოფილა. წერილი ახალგაზრდა სარდალს, რაფიელს გადაეცა, მისი მოგზაურობიდან გამომდინარე. მამაჩემის გარდაცვალების შემდეგ, ჩვენ მას თქვენთან ვგზავნით და იმედი გვაქვს, რომ მოაღწევს თქვენამდე და ყველაფერს თავად გიამბობთ.“ აღნიშნული საბუთის სომხურენოვანი ასლი სომხეთის მატენადარანშია დაცული. მატენადარანი, კატალოგი No. 49G, საქაღალდე No. 156, საბუთი No. 2452. აგრეთვე, იგი გამოქვეყნებული აქვს ისტორიკოს პაველ ჩობანიანს. Պավել Չոբանյան, “Հնդկահայ գաղթօջախի պատմությունից”, Document No. 4, 187-189.

[78] „და მე ვიმედოვნებ, რომ ღვთის მადლით, თქვენო უწმინდესობავ, უკვე გეცოდინებათ იასის საბჭოს დადგენილებები, რომლებიც ადგენენ, რომ ორივე მეზობელი, უარს იტყვის ახალციხეზე, ახალქალაქზე, ბაიაზეთზე და სხვა ტერიტორიებზე საკუთარი მმართველობის უფლებაზე და მათ, ღვთის მადლით, გადასცემენ აღმატებულ მეფე ერეკლე II-ს [როგორც ჩანს, შაჰამირიანს არასწორი ინფორმაცია ჰქონდა იასის სამშვიდობო ხელშეკრულების თაობაზე, მეტადრე, რომ ამ დოკუმენტში საერთოდ არ არის ერეკლე მეორესთვის ტერიტორიების გადაცემის საკითხი დასმული], საქართველოს [ქართლის] და კახეთის მეფეს და ა.შ.“ აღნიშნული საბუთის დედანი სომხეთის მატენადარანშია დაცული. მატენადარანი, კატალოგი No. 43, საბუთი No. 8, საქაღალდე No. 81. ამ დოკუმენტის ტექსტი ისტორიკოსმა ტერ-ავეტისიანმა 1940 წელს გამოაქვეყნა: Ս. Վ. Տեր-Ավետիսյան, “Նյութեր Հնդկաստանի հայ գաղութի պատմության համար”, *Գիտական աշխատություններ*, Հտ. XIII. Երևան: Պետական համալսարանի հրատարակչություն (1940): 81-86.

პრეტენზიების ან/და ინდოეთსა და რუსეთში მოქმედი სომხური ჯგუფების ინტერესების ასახვა იოლი საქმე არ იქნებოდა.[79] მართალია, შაჰამირიანის მხრიდან საკითხისადმი ასეთი დამოკიდებულება, ალბათ, მეტწილად უტოპიურად გამოიყურება, თუმცა იგი, რუსეთის იმპერიისადმი მის დამოკიდებულებას წარმოაჩენს. თუკი ვინმე შეძლებდა ერეკლე II-ის ინტერესების ასახვა ახალ სამშვიდობო ხელშეკრულებაში, ეს აუცილებლად რუსი ფუნქციონერები იქნებოდნენ, რაც იმაზე მიუთითებს, რომ იმხანად შაჰამირიანს, ჯერ კიდევ ჰქონდა რუსეთის საიმპერატორო კარისგან დახმარების მიღების იმედი, რომელიც ოსმალეთის წინააღმდეგ მიღწეული გამარჯვებების ფონზე, ბოლოს და ბოლოს სომხეთის საკითხის გადასაწყვეტად კონკრეტული ნაბიჯების გადადგმას დაიწყებდა. თუმცა, როგორც ირკვევა, რუსეთის იმპერიამ, არა სომხური განმათავისუფლებელი მოძრაობის მხარდაჭერა, არამედ თავის მფარველობის ქვეშ მყოფ სახელმწიფოს, ქართლ-კახეთის სამეფოსაც კი არ აღმოუჩინა სათანადო დახმარება.[80]

მართლაც, 1795 წელს, ერეკლე II, მოკავშირეების და მფარველის გარეშე, პირისპირ აღმოჩნდა აღა მაჰმად ხან ყაჯარის პირისპირ. ირანის ახალი მმართველის მიერ აღმოსავლეთ საქართველოზე თავდასხმა დამანგრეველი შედეგებით დასრულდა სამეფოსთვის - მოიშალა ქვეყნის ეკონომიკური და სამხედრო სისტემები, ათასობით ქართველ და სომეხ ოჯახს კერის დატოვება და მთებში გახიზვნა მოუწია; ამასთან, რეგიონში მნიშვნელოვნად შესუსტდა თავად ერეკლე II-ის პოზიციები.[81]

---

[79] საყურადღებოა, რომ შაჰამირ შაჰამირიანის მსგავსად, ჯერ კიდევ 1788 წელს მიმართავდა ერეკლე II რუსეთის საიმპერატორო კარს და მას ოსმალეთ-რუსეთის ომის დასრულების შემდეგ გასაფორმებელ სამშვიდობო ხელშეკრულებაში, ქართული სამეფოების ინტერესების მაქსიმალურად გათვალისწინებას სთხოვდა. კერძოდ, ერეკლე II ახალციხის საფაშოს ქართლ-კახეთისთვის დაბრუნების და აჭარის იმერეთის სამეფოსთვის გადაცემის საკითხების დაყენებას ითხოვდა. Александр Цагарели, *Грамоты и другие исторические документы XVIII столетия относящиеся к Грузии: с 1769 по 1801 год*, Т. II. Вып. 2 (Санкт-Петербург: Типография В. Киршбаума, 1902), საბუთი No. 46, 66.

[80] ამ თვალსაზრისით, ალბათ, საინტერესოა XX საუკუნის საერთაშორისო სამართლის სპეციალისტის, ოტფრიდ ნიპოლდის დაკვირვება, რომელსაც იგი, რუსეთ-საქართველოს მფარველობითი ხელშეკრულების სამართლებრივი თვალსაზრისით შესწავლისას გამოთქვამდა: „XIX საუკუნის დასაწყისამდე საქართველო 1783 წლის ტრაქტატით შექმნილი რეჟიმით ცხოვრობდა. განა შედეგები დადებითი იყო? პასუხი უნდა იყოს კატეგორიულად უარყოფითი. ხელშეკრულების დადებიდან მალევე დაიწყო ახალი თავდასხმები საქართველოზე; იგი მფარველისგან მიტოვებული დარჩა. მეფე ერეკლე სპარსელებს უმართავს ბრძოლას კრწანისში, რაც მისთვის მომგებიანია, მაგრამ მტერს ეს ხელს არ უშლის და 1795 წელს ტფილისს ცეცხლით ანადგურებს და ძარცვავს. მაშ სად იყო მაშინ რუსეთი და რა გააკეთა მან იმ ქვეყნის დასახმარებლად, რომლის დაცვის ვალდებულებაც ჰქონდა აღებული? მალევე გამოირკვა, ნაცვლად იმისა, რომ დაეცვა, სწორედ ის, რუსეთი, ემუქრებოდა საქართველოს. მომდევნო წელს, მართლაც თავად რუსები შეიჭრნენ ქვეყანაში. და მალევე გამოიკვეთა ისეთი დაცვა, როგორ დაცვასაც უმზადებდა რუსეთი საქართველოს: თავისი ხელით გაანადგურა ის ხელშეკრულება, რომელსაც თავად მოაწერა ხელი.“ ოტფრიდ ნიპოლდი, *საქართველო საერთაშორისო სამართლის თვალსაზრისით* (თბილისი: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2024), 51-52.

[81] გურული, *მეფე ერეკლე და რუსეთი,* 228.

ქართლ-კახეთის სამეფოს სავალალო მდგომარეობამ, რასაც მოგვიანებით ერეკლე მეფის, შაჰამირ შაჰამირიანისა და იოსებ არღუთიანის გარდაცვალება მოჰყვა, ფაქტობრივად, შეუძლებელი გახადა სომხურ-ქართული პოლიტიკური ურთიერთობების ჩვეული გზით განვითარება. ამასთან, მე-18 საუკუნის მიწურულსა და მე-19 საუკუნის პირველ მეოთხედში ოსმალეთ-ირანთან წარმოებული ფართომასშტაბიანი ომების ფონზე, რუსეთის იმპერიამ ქართული სამეფოების ანექსია და ფაქტობრივად, მთელი სამხრეთ კავკასიის რეგიონის ანექსია მოახდინა.[82] ცხადია, ასეთი მოცემულობა სრულ წინააღმდეგობაში მოვიდოდა როგორც ერეკლე II-ის, ისე შაჰამირ შაჰამირიანის, იოსებ არღუთიანის, იოსებ ემინის და სხვა მნიშვნელოვანი ლიდერების პოლიტიკურ მსოფლმხედველობასთან, მეტადრე, რომ მათი ძირითადი მიზანი, არა ახალი იმპერიის ქვეშევრდომობა, არამედ დამოუკიდებელი სახელმწიფოს შენება და გაძლიერება იყო.

დასკვნა

სტატიაში განვიხილეთ ქართლ-კახეთის მეფის, ერეკლე II-ის პერცეფცია მე-18 საუკუნის მეორე ნახევრის სომხური განმათავისუფლებელი მოძრაობის ლიდერებში. იმ პერიოდის საქართველოს და სომხეთის ისტორიულ კონტექსტზე მსჯელობისას ყურადღება დაეთმო მათი როლის წარმოჩენას როგორც რეგიონულ, ისე, გეოპოლიტიკურ ასპარეზზე. ასეთმა მიდგომამ, საშუალება მოგვცა, მეტად ფართო პერსპექტივიდან დავკვირვებოდით სომეხი ლიდერებისა და ქართლ-კახეთის მეფის ურთიერთობებს.

კვლევაში მნიშვნელოვანი ადგილი დაეთმო იოსებ ემინის ურთიერთობებს ერეკლე მეფესთან. გამოიკვეთა ემინის მოქმედებების ძირითადი ორიენტირები და მიზნები. დავასკვენით, რომ ემინმა, 1760-იან წლებში, ქართლ-კახეთის სამეფო კარზე ყოფნისას, ვერ მოახერხა თავისი დასახული მიზნების რეალიზება, რაც რეგიონული თვალსაზრისით, ერეკლე II-ის შეზღუდული სამხედრო-პოლიტიკური შესაძლებლობებით და მეორე მხრივ, საკუთრივ სომხური თემისგან არასაკმარისი მხარდაჭერით იყო განპირობებული. ხოლო, რაც შეეხება გლობალურ განზომილებას, ამ შემთხვევაში მის გეგმებზე მნიშვნელოვან გავლენას, სამხრეთ კავკასიაში ოსმალეთის იმპერიისა და ირანის ძლიერი პოზიციები ახდენდა.

აგრეთვე, სტატიაში განვიხილეთ ქართლ-კახეთის სამეფოს და სომხური ჯგუფების ჩართულობის საკითხები 1768-1774 წლების რუსეთ-ოსმალეთის ომში. ამ მხრივ, ყურადღება გამახვილდა ერეკლე II-ის ინტერესებზე და მის მნიშვნელობაზე სომხური განმათავისუფლებელი მოძრაობის წარმატების საკითხში და ასევე, გამოიკვეთა რუსეთის იმპერიაში მოქმედი სომხური ჯგუფების, კერძოდ მოვსეს სარაფოვის, დაინტერესება ერეკლე მეფის მოღვაწეობისადმი. დავასკვენით, რომ ქართული სამეფოების და სომხური ჯგუფების მიზნების იმპლემენტაციას მნიშვნელოვნად შეუშალა ხელი რუსეთის იმპერიის მოქმედებებმა სამხრეთ კავკასიაში.

---

[82] შველიძე, *საქართველოს მფარველობა და დაპყრობა რუსეთის მიერ*, 89-133.

სტატიის მომდევნო ნაწილებში გაშუქდა რუსულ-ქართული და რუსულ-სომხური პროექტებთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები. ამ მხრივ, გამოვარჩიეთ 1783 წლის 24 ივლისის მფარველობითი ხელშეკრულება და იოსებ არღუთიანისა და შაჰამირ შაჰამირიანის მიერ მომზადებული რუსულ-სომხური პროექტები. დავასკვენით, რომ ამ ორი მნიშვნელოვანი ფიგურის პოლიტიკურ პრეფერენციებზე მნიშვნელოვანი გავლენა რუსეთის იმპერიის მიერ ირანის წინააღმდეგ დაგეგმილი საბრძოლო კამპანიის გაჭიანურებამ და სამხრეთ კავკასიის სომხური მოსახლეობით დასახლებულ რეგიონებში არსებულმა კომპლექსურმა მდგომარეობამ მოახდინა.

ამასთან, კვლევაში მნიშვნელოვანი ნაწილი დაეთმო შაჰამირ შაჰამირიანისა და ერეკლე II-ის ურთიერთობების საკითხებს. შაჰამირ შაჰამირიანი, 1770-იანი წლებიდან, დამოუკიდებელი სომხური სახელმწიფოს შექმნის საკითხზე მუშაობდა და დროთა განმავლობაში, მის პროგრამაში, ერეკლე მეფის ფაქტორი იზრდებოდა. დავასკვენით, რომ 1780-იანი წლების ბოლოდან, ერეკლე II-ის და შაჰამირ შაჰამირიანის ხედვები მნიშვნელოვნად დაუახლოვდა ერთმანეთს. მიუხედავად მათი მჭიდრო თანამშრომლობისა მათ ვერ მოახერხეს ძირითადი მიზნების განხორციელება, რაც საფიქრებელია, რომ დიდწილად ქართლ-კახეთის სამეფოს შეზღუდული სამხედრო-პოლიტიკური შესაძლებლობებით და საერთაშორისო ასპარეზზე შექმნილი არახელსაყრელი ვითარებით იყო განპირობებული.

ამრიგად, ვასკვნით, რომ მე-18 საუკუნის მეორე ნახევრის სომხური განმათავისუფლებელი მოძრაობის ლიდერები თავიანთი პროგრამების იმპლემენტაციაში დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ ქართველი ხალხის, უფრო ზუსტად, ერეკლე II-ის ფაქტორს. მიუხედავად იმისა, რომ საბოლოოდ ვერც საქართველომ მოახერხა საკუთარი დამოუკიდებლობის შენარჩუნება და თავის მხრივ, ვერც სომეხმა ლიდერებმა მიაღწიეს წარმატებას, შეგვიძლია მივიჩნიოთ, რომ მე-18 საუკუნის მეორე ნახევრის სამხრეთ კავკასიაში განვითარებულმა მოვლენებმა, კიდევ ერთხელ წარმოაჩინა სომეხი და ქართველი ხალხების მჭიდრო პოლიტიკური, სამხედრო და სოციალური კავშირების მნიშვნელობა.

დამოწმებული ლიტერატურა

1. ბეი-მამიკონიანი, გ. „XVIII ს. ნახევრად დავიწყებული მემუარისტი ერეკლე მეორეზე და მისდროინდელ ქართველებზე“, *საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე*, ტ. V, No. 2 (1944): 197-206.
2. გოგოლაური, რომან. *რუსეთ-ოსმალეთის ომები და სამხრეთ საქართველოს საკითხი*. თბილისი: უნივერსალი, 2016.
3. გურული, ვახტანგ. *მეფე ერეკლე და რუსეთი*. თბილისი: ქართული უნივერსიტეტი, 2018.
4. კაკაჩია, კორნელი. *საერთაშორისო პოლიტიკა ვესტფალიიდან ბიპოლარული სისტემის დასასრულამდე*. თბილისი: უნივერსალი, 2014.
5. მაგაროტო, ლუიχი. *საქართველოს ანექსია რუსეთის მიერ: 1783-1801* (მთარგმნელი: სალომე კენჭოშვილი). თბილისი: მწიგნობარი, 2008.
6. მაისურაძე, გურამ. *ქართველი და სომეხი ხალხების ურთიერთობა XIII-XVIII საუკუნეებში*. თბილისი: მეცნიერება, 1982.

7. მამისთვალაშვილი, ელდარ. *საქართველოს საგარეო პოლიტიკა და დიპლომატია: XVII საუკუნის პირველი ნახევარი - თეიმურაზ I-ის ეპოქა*. თბილისი: უნივერსალი, 2011.
8. მაჭარაძე, ვალერიან. "გეორგიევსკის ტრაქტატი: დოკუმენტები", *სამი საუნჯე,* No. 2-8 (2013): 63-102.
9. ------ *მასალები XVIII საუკუნის მეორე ნახევრის რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიისათვის: რუსეთ-თურქეთის ომი 1768-1774 წლებში* და *საქართველო,* ნაწილი III, ნაკვეთი I. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1988.
10. ------ *ასპინძის ბრძოლა.* თბილისი: სახელგამი, 1957.
11. ნიპოლდი, ოტფრიდ. *საქართველო საერთაშორისო სამართლის თვალსაზრისით* (მთარგმნელი: გრიგოლ ფერაძე). თბილისი: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2024.
12. რეხვიაშვილი, მიხეილ. *იმერეთი XVIII საუკუნეში*. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1982.
13. სვანიძე, მიხეილ. *ოსმალეთის ისტორია : 1600- 1923*, ტომი II. თბილისი: ქრონოგრაფი, 2002.
14. ------ *ოსმალეთის ისტორია : XIV-XVI სს.,* ტომი I. თბილისი: ქრონოგრაფი, 1999.
15. ტუხაშვილი, ლოვარდ. „ქართლ-კახეთის სამეფოს ურთიერთობა კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის ხალხებთან მე-18 საუკუნის მეორე ნახევარში". *საქართველოს ფეოდალური ხანის ისტორიის საკითხები,* წიგნი 2, რედ. მ. დუმბაძე, 91-108. თბილისი: მეცნიერება, 1972.
16. შარაშენიძე, ზურაბ. *ირანი XVIII საუკუნის მეორე ნახევარში.* თბილისი: მეცნიერება, 1970.
17. შველიძე, დიმიტრი. *საქართველოს მფარველობა და დაპყრობა რუსეთის მიერ*. თბილისი: მერიდიანი, 2014.
18. ჭუბაბრია, რუსუდან. "ერეკლე II-ის მიმართ სომხური ჯგუფის დაპირისპირების მიზეზთა გარკვევისათვის", *თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები: აღმოსავლეთმცოდნეობა,* No. 327 (1998): 155-168.
19. ხარაძე, კობა. *ოცდათორმეტი წელი აზიის ქვეყნებში: რაფიელ დანიბეგაშვილის უჩვეულო მოგზაურობანი (1795-1827 წწ.)*. თბილისი: ლეგა, 2008.
20. ჯიბაშვილი, ოლეგ. *რუსეთ-ოსმალეთის 1768-1774 წლების ომი და სამხრეთ საქართველო*. ბათუმი: შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2010.
21. Aksan, Virginia H. *Ottoman Wars 1700-1870 : An Empire Besieged*. London: Pearson Education, 2007.
22. Asatiani, Nodar. *History of Georgia: From Ancient Times to the Present Day*. Tbilisi: Publishing House Petite, 2009.
23. Aslanian, Sebouh. *Dispersion History and the Polycentric Nation: The Role of Simeon Yerevantsi's GIRK or KOCI PARTAVCAR in the 18th Century National Revival*. Venice: S. Lazarus, 2004.
24. Bournoutian, A. George. *A Concise History of the Armenian People: From Ancient Times to the Present*. Costa Mesa, California: Mazda Publishers, Inc., 2006.

25. ------ *Armenians and Russia (1626-1796): A Documentary Record*. Costa Mesa, California: Mazda Publishers, Inc., 2001.
26. Emin, Joseph. *Life and Adventures of Joseph Emin*. Calcutta: Baptist mission press, 1918.
27. Gregorian, Vartan. "The impact of Russia on the Armenians and Armenia". In *Russia and Asia: Essays on the Influence of Russia on the Asian Peoples*, ed. Wayne S. Vucinich, 167-218. Stanford, California: Stanford University, 1972.
28. Lorentz, John H. *Historical Dictionary of Iran.* Lanham: The Scarecrow Press, 2007.
29. Mikaberidze, Alexander. *Historical Dictionary of Georgia*. Plymouth: The Scarecrow Press, 2007.
30. Pheradze, Grigol. "Heraclius II's Caucasian Policy in the 1760s (according to the autobiographical memoir of Joseph [Hovsep] Emin)", in *Kadmos*, No. 15 (2013): 132-160.
31. Sanikidze, George. "The Evolution of Safavid Policy towards Eastern Georgia", in *Safavid Persia in the Age of Empires: The Idea of Iran*, Volume X, ed. Charles Melville, 375-404. London: I.B. TAURIS, 2021.
32. Seth, Mesrovb Jacob. *Armenians in India: From the Earliest Times to the Present Day*. New Delhi, Madras: Asian Educational Services, 1992.
33. Batwagan-Toufanian, Satenig. *Le Piège de l'Orgueil: Un projet Républicain en Orient au XVIIIe siècle.* Paris: Presses de l'Inalco, 2018.
34. Ерицян, Александр. "Индиская Богатия Завещания", *Кавказ*, No. 94, Апрель 27, (1883).
35. Иоаннисян, А.Р. *Россия и армянское освободительное движение в 80-х годах XVIII столетия.* Ереван: Издательство АН Армянской ССР, 1990.
36. ------ *Иосиф Эмин*. Ереван: Издательство АН Армянского ССР, 1989.
37. Мачарадзе, Валериан. *Грузинские документы по истории грузино-курдско-ассирийско-русских взаимоотношений: 60-70-е гг. XVIII века.* Тбилиси: Сабчота Сакартвело, 1989.
38. Нерсисян, Мкртич. *Армяно-Русские Отношения в XVIII веке: 1760-1800 гг.* Т. IV. Ереван: Издательство Академии Наук Армянской ССР, 1990.
39. Цагарели, Александр. *Грамоты и другие исторические документы XVIII столетия относящиеся к Грузии: с 1769 по 1801 год,* Т. II. Вып. 2. Санкт-Петербург: Типография В. Киршбаума, 1902.
40. Չոբանյան, Պավել: "Հնդկահայ գաղթօջախի պատմությունից": *Պատմա-բանասիրական հանդես*, Vol. 1 (1988): 183-192.
41. Տեր-Ավետիսյան. Ս. Վ: "Նյութեր Հնդկաստանի հայ գաղութի պատմության համար": *Գիտական աշխատություններ*, Հտ. XIII. Երևան: Պետական համալսարանի հրատարակչություն (1940): 5-99.
42. მატენადარანი, ახალი საბუთები, საქაღალდე No. 1, საბუთი No. 12.
43. მატენადარანი, კატალოგი No. 43, საბუთი No. 8, საქაღალდე No. 81a.
44. მატენადარანი, კატალოგი No. 49G, საქაღალდე No. 156, საბუთი No. 2452.
45. საქართველოს ეროვნული არქივი, ფონდი 1449; საბუთი No. 1300.